

F 4077  
3



ფ-ფასიანი სამეურნეო წიგნების თანხის გამოცემა. № 2.

ეროვნული  
გილდიონისა

## ვ ა ყ ი

მისი მოშენება და მოვლა.

თხზულება

პროფესორის გასიღ ჰეტრიაშვილისა.

ჭიგნავი II.

ვასი მრთი შაური.

ქუთაისი.

სტამბა „მეურნის“ რედაქციისა.

1897

63M.5  
იაფ-ფასიანი სამეურნეო წიგნების თანხის გამოყენი. № 2.  
ეროვნული ბიბლიოთეკი

# ვ ა ზ ი

მისი მოშენება და მოვლა.

თხზულება

პროფესორის ვასილ ბერძისშვილისა.

წიგნაკი მეორე.

F 4. 0 9 7  
—  
3

ვასი ერთი შაური.



ჭუთასი.

სტამბა „მეურნის“ რედაქციისა.

1897



МОНГОЛЫН  
НАЦИОНАЛЫН БИБЛИОТЕКЭ

0868

---

Особые оттиски изъ „Меурнэ“ №№ 4, 5, 6, 7, 8 и 9 1897 г.

---

## სია

დაფ-ფასანი სამეცნიერო წიგნების გამოსაცემი („მე-  
ურნის“ ჟუდაქის გამგეობით) თანხას დამაარსე-  
ბელთა, შემოწირულების რაოდენობის ჩვენებით.  
გადმობეჭდილია „მეურნიდან“ № № 36 წარსულის 1896

წ. და 8 ამ 1887 წ.

წინათ შემოსული 138 პ. 30 პ.

45. ღენერალ-ლეიტენანტი ქრისტეფორე მამაცა შვილი 5 პ.	
თ-დის იასონ მერაბის ძის დოროთქათვანიძისაკან გლადიგავებისში შეკრებილი. . . . .	20—
თ-დი გიორგი სარდაონის ძე ციცი შვილი. 1—	
ანტონ ფურცელაძე. . . . .	1—
კნ. ნინო ღრბელიანი . . . . .	1—
50. პალიგო ყიფიანი . . . . .	1—
დათვე ამირავაძი . . . . .	1—
ილაშ შანშესძე შანშევა . . . . .	40 პ.
	30 პან. 40 პაზ.
სულ წინანდელიანთ 168 პ. 70 პაზ.	

- „მეურნის“ რედაქციაში ისყიდება შემდეგი გამოცემასი რედაქციისაგე:
- 1., ბაზრა და მისი უმაუშავება, მ. ჭ—ლისა, ფასი 15 კაბ. გაგზავნით 17 კაბ.
  - 2., მოკლე ლარიგება ხელილის გამრავლებისათვის, ა. დარეჯანიშვილისა, სურათებით, ფასი 20 კაბ. გაგზავნით 22 კაბ.
  - 3., საზოგადო მიწათ-მომხედვება, მ. ჩახლიშვილისა ფასი 20 კაბ., გაგზავნით 22 კაბ.
  - 4., საქოლეის მოვლა-მოშევება, მ. ჩახლიშვილისა ფასი 25 კაბ. გაგზავნით 27 კაბ.
  - 5., აბუსალათინი, ე. ნაქაშიძისა. ფასი 2 კაბ. გაგზავნით 4 კაბ.
  - 6., ცოცით ავათმოცოდა, ექმის გიორგი ბად. რიმისა ფასი 3 კაბ. გაგზავნით 5 კაბ.

---

  - 7., ვაზი, მისი მოშევება და მოვლა, პროფესიონის გასსიღდ ბეტრიაშვილისა, ფასი 3 კაბ. გაგზავნით 5 კაბ.
  - 8., იგიგე, წიგნის მეორე, ფასი 5 კაბ. გაგზავნით 7 კაბეკი.

---

  - 9., შაგი ჭირი, წერილი ექმის გ. ბადონიძისა, ფასი 5 კ.



ეროვნული

პირადობის

გ 5 ზ ი,

მისი მოშენება და მოვლა.

II.

გაზის მინერალური ნივთიერებასი და მათი დამოკიდებულება მაწის შედგენილებაზე და ამის მიხედვით სავენახო ადგილის ამორჩევა.

შველამ კარგათ იცის, რომ მიწა მარტო ფესვების ჩასამავრებლათ არ არის საჭირო მცენარისათვის, არამედ აქედან იგი იღებს და ითვისებს მრავალ ნივთიერებას. ვაზის ცხოვრებისა და აღორძინებისათვის, როგორც ყველა სხვა მცენარისათვისაც, საჭირო არიან მრავალ გვარნი სხვადასხვა მინერალური ნივთიერებანი. რაც უნდა უბრალო და მარტივი მცენარე იყოს, იგი ორგანიულ ნივთიერებასთან ყოველთვის შეიცავს სხვადასხვა გვარ მინერალურ ნივთიერებასაც, რომლებიც შეერთებულნი არიან როგორც მინერალურ, ისე ორგანიულ სიმჟავეებთან. თუ ჩვენ მცენარეს დავსწვავთ და ამით დავშლით და მოვსპობთ ორგანიულ ნივთიერებათა ქსოვილს, მაშინ დარჩება მარტო მისი მინერალური ნივთიერება, რომელსაც ჩვენ ნაცარს ვეძახით. მაში მცენარის ნაცარის გამოკვლევით შესაძლებელი იქნება მისი მინერალური ნივთიერების შეტყობით, როგორც მისი რაოდენობისა, ისე მისი შედგენილებისაც. მართალია ნაცარი ეხლა თავის შედგენილებით აღარ მიემსგავსება იმ მდგომარეობას, რომელშიც იგი იყო იყო თითონ მცენარეში, მაგრამ მაინც ძნელი არ არის ამისი შეგნება, თუ მოვიგონებთ, რომ

მინერალურ ნივთიერებასთან შეერთებული სხვადასხვა ორგანიული სიმჟავენი ეხლა ამ ნაცარტში წაჲჭურაშვილი სიმჟავეთ იქნებიან გაღაპტებული; ჰუთურიშვილი კა მინერალურ ნივთიერებათა, რომელიც ორგანიულ სიმჟავესთან ცყო შეკავშირებული, ეხლა, დაწვის შემდეგ, ნახშირის სიმჟავესთან იქნება შეერთებული, თუ, რასაკვირველია, დაწვის დროს ტემპერატურა ძალიან მაღალი არ იყო; მაღალი ტემპერატურა ას-ხვაფერებს ნაცრის შედგენილებას, რადგანაც სხვადა-სხვა გვარათ მოქმედობს ნახშირის სიმჟავის მარილებზე: იგი ანაწილებს კირის, მაგნეზიის და სხვათა ნახშირ-სიმჟავე მარილებს, ნახშირის სიმჟავეს აცლის და ელე-მენტებს უანგათ აქცევს; მხოლოთ კალი ქვის და ნა-ტრის ნახშირ-მჟავე მარილები არ იცვლებიან მაღალი ტემპერატურის ზედმოქმედებით; ამის გამო ნაცარში ყოველთვის მოიპოვება კირის, მაგნეზიის და რკინის უანგები ცოტათ თუ ბევრათ, ტემპერატურის სიმაღლის დაგვარათ.

ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ნაცარში ნა-პოვნი ნახშირ-მჟავე მარილები მთლიათ დაწვით არ არიან მომზადებულნი, ცოტაოდენი ნაწილი თითონ ვაზშივე მზადდება მისი ცხოვრების დროს, ჯერ ამ მინერალურ ნივთიერებათა შეთვისების დროს, რად-განაც კირი, მაგნეზია და რკინა ნახშირის-სიმჟავის შემწეობით გადადიან მცენარეში, მაშასადამე ნახშირ-მჟავე მარილებათ და მერქ მისი სუნთქვის დროს; როგორც ვიცით, სუნთქვა დიდათ მიემსგავსება დაწ-ვას—ორივე მოვლენაში ჰაერის უანგმბადი უერთდე-ბა სხსადასხვა ორგანიულ ელემენტებს და ამ ორივე შემთხვევაში ამის შედეგი ერთი და იგავეა—ნახში-

რის სიმუავის გაჩენა. მაშასადამე თითონ ჭაზშიაც  
არის ნახშირის სიმუავის მარილები.

ამას რაღა თქმა უნდა, რომ ამავე ნაკლები მცირებული  
ნებიან ის მინერალური სამუავენიც, რომლებიც მცე-  
ნარის დაწვით არ იცვლებიან, როგორც მაგ. ფოს-  
ფორისა, კაფისა, ქლორისა და გოგირდის სიმუავენი.

მეცნიერებამ გამოიკვლია და დაამტკიცა, რომ  
მცენარეთა ნაცრის შედგენილება დაახლოვებით და-  
მოკიდებულია იმ მიწის შედგენილებაზე, რომელშიც  
მცენარე არის ჩარგული; მაშასადამე მათ შორის დი-  
დათ დაახლოვებული საურთიერთო კავშირი და დამო-  
კიდებულება სუფექს; ყაველ მცენარეს აქვს მისი შე-  
საფერი მინერალური ნივთიერებანი, ურომლისოთაც  
მას ცხოვრება არ შეუძლია და თუ ეს ნივთიერებანი  
მიწაში არ მოიპოვებიან, მაშინ აქ ამ მცენარეს ცხოვ-  
რება არ შეეძლება. თუ ჩვენ გვინდა გავიგოთ რო-  
მელიმე მიწა გამოსადევია თუ არა რომლისამე მცე-  
ნარისათვის, მაშინ საჭიროა შევიტყოთ ერთის მხრით  
ბუნება და შედგენილება იმ მინერალურ ნივთიერე-  
ბათა, რომლებიც მცენარეში მოიპოვებიან და მეორეს  
მხრით ისიც — მიწას შეუძლია თუ არა ამნივთიერე-  
ბათა მოცემა. მსევე უნდა ვსოქვათ ვაზის შესახებაც.

### 1. გაზის ნაცრათ.

თუ ვაზის ნაცარს დაკვირვებით გავშინჯავთ,  
მაშინ ჩვენ ცხადათ დავრწმუნდებით, რომ იყი ორ-  
გვარი მარილებისაგან არის შემდგარი: ერთი ნაწილი  
ამ ნაცრისა წყალში კარგათ იხსნება და მეორე კი  
არა. მს უკანასკნელი რიგი მინერალურ ნივთიერე-  
ბათა, რასაკვირველია, მცენარეში ვერ გადავიდოდა,  
თუ წინეთაც ამავე მდგომარეობაში ყოფილიყო, ე.  
ი. წყალში გაუხსნელი; მცენარეში გადასცლის დროს  
ყოველი მინერალური ნივთიერება უეჭველათ წყალში  
უნდა იყოს გახსნილი; ყოველი მცენარე მიწიდან  
წყალსა სწოვს თავისი ფესვებით და ამ წყალს მიჰ-

ყვება ისიც, რაც შიგ არის გახსნილი. მაშ უკვეველია, რომ მცენარის ყველა მინერალური ნივთიერება ან წინათვე წყალში უნდა ყოფილიყო გახსნილი შეთვი-სების დროს და ან ამავე დროს გახსნილი სხვადა-სხვა აგენტების შემშეობით, როგორც მაგ. ნახშირის-სიმჟავით და სხვანი.

ნაცრის იმ ნაწილში, რომელიც წყალში იხსნება, მოიპოვებიან სხვადასხვა ტუტენი; კალიქვა, ნატრი, რომლებიც სხვადასხვა სიმჟავეებთან არიან შეერთებულნი, მაგ. ნახშირის—სიმჟავესთან, გოგირდის სიმჟავესთან და ქლორთან; მეორე ნაწილში, ე. იმაში, რომელიც წყალში არ იხსნება, ჩვენ ვპოვებთ კირს, მაგნეზიას, რკინის-ჟანგს, მანგანის ჟანგს (შავი ქვის ჟანგს), რომლებიც შეერთებულნი არიან ნახშირის, ფოსფორის და კაფის სიმჟავეებთან. საზოგადოთ მინერალური ნივთიერების რაოდენობა სხვადასხვა არის სხვადასხვა მცენარეში და აგრეთვე ერთი და იმავე მცენარის სხვადასხვა ნაწილებშიაც; ქერქში და ფოთლებში უფრო ბევრია მინერალური ნივთიერება, ვინემ ტოტებში; ტოტებში მყოფი მინერალური ნივთიერების რაოდენობაც ბევრათ გადამეტებულია ხის გულში და ხილში მყოფ მინერალური ნივთიერების რაოდენობაზე. თუ ახლა კერძოთ ვაზის ნაცარს დავაკვირდებით და გაუშინჯავთ, მაშინ უკვევლათ დავრწმუნდებით, რომ ამ მცენარის ნაცარშიაც ყველა ის მინერალური ნივთიერებანი არიან, რომლებიც სხვა მცენარეების ნაცარში ვნახეთ; იგი შეიცავს: კალი-ქვას, ნატრის, კირს, მაგნეზიას, რკინის და მანგანის ჟანგებს და ყველა ესენი აქაც შეერთებულნი არიან გოგირდის, ფოსფორის, კაფის და ნახშირის სიმჟავეებთან და აგრეთვე ქლორთანაც.

რაც შეეხება საზოგადოთ მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობას, ამ მხრით მხოლოთ ის შეიძლება და აგრეთვე ქლორთანაც.

ლება ვსთქვათ, რომ ტუტენი და სხვა უანგეულობა  
ერთათ აღებულნი შეაღენენ თითქმის მთელზეც უკუკუკუკ  
რის ნახევარს და ხან მხოლოდ ცოტათ ჭრიულობის ტექნიკა  
ბიან; თითონ ნაცრის რაოდენობა ყოველთვის ერთი  
და იგივე არ არის, ძრიელ ცვალებადია, რაც მრავალ  
გარემოებაზეა დამოკიდებული, რომლებზედაც ქვე-  
მოთ გვექნება ლაპარაკი. აგრეთვე ცვალებადია ნაცრის  
შემაღენელი ელემენტების ურთიერთი რაოდენობა.

ვაზის ნაცრის გამოკვლევას პირველათ შეუდგა  
საფრანგეთის გამოჩენილი მწავლული ბუსენგო; მარ-  
თალია ამ გამოკვლევის დროს იმას სახეში მარტო ის  
ჰქონდა — შეეტყო თუ ვაზის კულტურა რას ართმევს  
დედამიწას, მაგრამ ამითვე იმან ვაზის ნაცრის შე-  
დგენილებაც გვიჩვენა. სამწუხაროთ მისი გამოკვლე-  
ვა სრული არ არის, რადგანაც არც თითონ ვაზის  
ნის ნაცარს შეეხება და არც ფოთლების ნაცარს;  
იმან გამოიკვლია მხოლოდ წალამის, ჭაჭის და თხლის  
ნაცარი. ამ გამოკვლევიდან ცხადათ აღმოჩნდა, რომ  
ჭაჭის ნაცარში კალი-ქვის მარილები უფრო გადამე-  
ტებულნი არიან, ვინემ მიწა-უანგეულობისა (კირისა,  
მაგნეზიისა და სხვ.); წალამში და თხლეში კი ამის  
წინააღმდეგი ამოჩნდა, ე. ი. აქ კალიქვის მარილები  
ნაკლებათ არიან.

ბუსენგოს შემდეგ ამავე საგნის გამოკვლევას  
შეუდგა ვერნეტ-ლამოტტი და შეისწავლა Pinot  
ვაზის სხვადასხვა ნაწილების ნაცარი, გაშინჯა მათი  
ზასიათი და შედგენილება და აქაც ის საზოგადო  
მოვლენა აღმოჩნდა, რომ ნაცრის რაოდენობა სრუ-  
ლიათ სხვალასხვა არის ვაზის სხვადასხვა ნაწილში და  
მათი შედგენილებაც ბევრათ განირჩევა ერთმანეთი-  
საგან. აი შედეგი ვერნეტ-ლამოტტის გამოკვლევისა:



აქედან ცხადია, როგორც წინეთაც ვსოდეთ,  
რომ ვაზის სხვადასხვა ნაწილში მინუსტის ული  
ნივთიერებათა სხვადასხვა რაოდენობა არის, —  
ფოთლებში უკელაზე ბევრია, შემდეგ მოდის  
ვაზის გულის ნაცარი, ვეზვების ქინქლისა  
და კლორტებისა და ბოლოს ურმენში უკე-  
ლაზე უფრო ცლტაა.

უფრო ვრცელი და ძლიერ საინტერესო  
გამოკვლევა მოახდინა საფრანგეთში ამ ორი  
წლის წინეთ მიუნცმა (Münz); იმან გამოიკვ-  
ლია მთელი საფრანგეთის კენახები და სა  
გამოკვლევის დროს სახეში ჰქონდა შეატყო-  
თუ, ვაზი რა და რა ნივთიერებას იღებს  
მიწიდან და რა რაოდენობით და ეს ნივთი-  
ერებანი რომელ ნაწილებში გროვდებან და  
რა გვარი რაოდენობით.

მე აქ მოკლეთ მომეავს ამ საინტერესო  
გამოკვლევის შედეგი:

ადგილი.	გამოკვლეული ნიკო- ერებანი.	ტოტებში.	ფოთლებ- ში.	ჭავაში.	თხლევში.	ღვინოში.
ც ე დ დ ი ლ ი .	სზოტი. ნაცრის ასაღენობა. ფლავილის სიმუშებ ნაცარში. გალი ქა. გირი. მაგნია.	0,48 გრ. 5,33 — 0,28 — 1,01 — 1,56 — 0,11 —	1,87 გრ. 11,96 — 0,33 — 1,39 — 4,52 — 0,07	1,78 გრ. 14,27 — 0,59 — 2,15 — 1,75 — 0,33	3,94 გრ. 12,16 — 0,92 — 6,00 — 1,34 — —	0,0157 გრ. 0,146 — 0,017 — 0,118 — 0,012 — 0,002 —
ც ე დ დ ი ლ ი .	სზოტი. ნაცარი. ფლავილის სიმუშებ ნაცარში. გალი ქა. გირი. მაგნია.	0,56 4,98 0,22 0,99 1,48 0,33	1,65 16,25 0,08 1,28 4,82 0,88	1,87 11,10 0,51 2,40 0,74 0,13	1,43 24,68 — 0,60 — 10,85 — 2,90 — —	0,023 — 0,192 — 0,0255 — 0,1475 — 0,014235 — 0,009535 —

. ცლელი და არა ცლელი

. ცლელი და არა ცლელი

<b>Հեռակացություն</b> <b>Ենթադրություն</b> <b>Պահանջման համար նշանավոր մասնակիություն</b> <b>Հաջողություն</b> <b>Պահանջման համար նշանավոր մասնակիություն</b> <b>Հաջողություն</b>	<b>0,62</b> <b>3,80</b> <b>0,25</b> <b>1,01</b> <b>1,25</b> <b>0,03</b>	<b>1,81</b> <b>12,40</b> <b>0,41</b> <b>1,44</b> <b>5,66</b> <b>0,21</b>	<b>2,10</b> <b>7,10</b> <b>0,61</b> <b>2,52</b> <b>1,19</b> <b>0,08</b>	<b>0,075</b> <b>0,195</b> <b>0,059</b> <b>0,173</b> <b>0,0077</b> <b>0,0005</b>
<b>Հեռակացություն</b> <b>Ենթադրություն</b> <b>Պահանջման համար նշանավոր մասնակիություն</b> <b>Հաջողություն</b> <b>Պահանջման համար նշանավոր մասնակիություն</b> <b>Հաջողություն</b>	<b>0,54</b> <b>4,15</b> <b>0,23</b> <b>0,94</b> <b>1,33</b> <b>0,12</b>	<b>1,61</b> <b>18,00</b> <b>0,33</b> <b>1,31</b> <b>6,17</b> <b>0,24</b>	<b>2,04</b> <b>10,20</b> <b>0,68</b> <b>3,48</b> <b>0,94</b> <b>0,070</b>	<b>0,36</b> <b>"</b> <b>0,09</b> <b>0,33</b> <b>0,19</b> <b>0,012</b>
<b>Հեռակացություն</b> <b>Ենթադրություն</b> <b>Պահանջման համար նշանավոր մասնակիություն</b> <b>Հաջողություն</b> <b>Պահանջման համար նշանավոր մասնակիություն</b> <b>Հաջողություն</b>	<b>0,54</b> <b>4,15</b> <b>0,23</b> <b>0,94</b> <b>1,33</b> <b>0,12</b>	<b>1,61</b> <b>18,00</b> <b>0,33</b> <b>1,31</b> <b>6,17</b> <b>0,24</b>	<b>2,04</b> <b>10,20</b> <b>0,68</b> <b>3,48</b> <b>0,94</b> <b>0,070</b>	<b>0,36</b> <b>"</b> <b>0,09</b> <b>0,33</b> <b>0,19</b> <b>0,012</b>
<b>Հեռակացություն</b> <b>Ենթադրություն</b> <b>Պահանջման համար նշանավոր մասնակիություն</b> <b>Հաջողություն</b> <b>Պահանջման համար նշանավոր մասնակիություն</b> <b>Հաջողություն</b>	<b>0,54</b> <b>4,15</b> <b>0,23</b> <b>0,94</b> <b>1,33</b> <b>0,12</b>	<b>1,61</b> <b>18,00</b> <b>0,33</b> <b>1,31</b> <b>6,17</b> <b>0,24</b>	<b>2,04</b> <b>10,20</b> <b>0,68</b> <b>3,48</b> <b>0,94</b> <b>0,070</b>	<b>0,36</b> <b>"</b> <b>0,09</b> <b>0,33</b> <b>0,19</b> <b>0,012</b>

• սբ Անդրանիկ Մատուռ

Տիւլը.	0,57	1,74	1,81	0,0239			
Խացանօ.	3,94	11,36	6,51	0,2430			
Պղևողաւուն Խօմիչի Խէցաւմ.	0,23	0,38	0,78	0,0118			
Ճալո ճիւ.	0,74	1,10	2,36	0,0561			
Ճուռ. Ճալու ճիւ.	1,32	4,48	0,92	0,0054			
Ճանի ճիւ.	0,19	0,46	0,07	0,0049			
Տիւլը.	0,576	2,138	1,906	0,0341			
Խացանօ.	3,64—	11,890	7,420	0,245			
Պղևողաւուն Խօմիչի Խէցաւմ.	0,247	0,576	0,530	0,032			
Ճալո ճիւ.	1,004	1,891	2,448	0,1755			
Ճուռ. Ճալու ճիւ.	1,029	7,063	0,466	0,542			
Ճանի ճիւ.	0,094	0,156	0,059	0,094			
Հայկական ազգական պատմագիր.							

ამ გამოკვლევიდანაც ის დასკვნა უნდა გამოკიცანოთ, რომ ვაზი ყოველ მიწიდან ერთგვარუმინული რალურ ნივთიერებათ იღებს, თუმცა ჰესტფლისტების რაოდენობით; ამასთან ისიცა სჩანს ცხადათ, რომ ეს ნივთიერებანი მოგროვილნი არიან გადამეტებულათ ვაზის ფოთლებში და ყურძნებში, და ღვინოში კი ყველაზე ნაკლებია.

ცალკე კი რომ გავარჩიოთ ეს ანალიზები, მაშინ იმაში დავრწმუნდებით, რომ ყურძნისათვის კალი ქვას დიდი მნიშვნელობა აქვს, თავის რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავს; ამას შემდეგ მოსდევს ფოსტორის სიმუავე და ბოლოს აზოტი, კირი და მაგნეზია, კირი და მაგნეზია უფრო მოგროვილია ხეში და ფოთლებში; სხვა ელემენტებიც არიან ვაზის ნაცარში, რომლებსაც მიუნცმა ყური არ მიაპყრო, როგორც მაგ. გოგორდის სიმუავე, ქლორი, კაფის სიმუავე, რკინა და მარგანეცი, რომლებიც აგრეთვე საჭირონი არიან და დიდი გავლენა აქვთ, როგორც ვნახავთ, ყურძნის და ღვინის ლირსებაზე.

საზოგადოთ მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობა და მისი შედგენილება ბევრათ დამოკიდებულია იმ მიწის თვისებაზე და შედგენილებაზე, რომელშიაც ვაზია ჩარგული.— ამის დასამტკიცებლათ ბევრი გამოკვლევა არის მოხდენილი და ყოველი გამოკვლევიდან ცხადათ სჩანს მიწის ზედგავლენა ვაზის მინერალური ნივთიერების შედგენილებაზე; ამ საგანს პირველათ ყურადღება მიაპყრო ბეგიმარმა (Gueymard) და გამოიკვლია მინერალური ნივთიერების შედგენილება ტოტების და ღერისა, რომლებიც სხვადასხვა გვარ მიწაში იყვნენ გაზღილნი; ერთი ვაზის 1) ნაცარი შეადგენდა 1,84, მეორესი 2)—2,47 და მესამესი 3)—2,41%.

1.	შეალუ გასსნილი 0,14 გრ. ანუ 7,65% 0,25 გრ. ანუ 10,34% 0,44 გრ. ანუ 18,26%/ კრი ნახშირის სიმუავე-	2.	0,44 გრ. ანუ 10,34% 0,25 გრ. ანუ 10,34% 0,44 გრ. ანუ 18,26%/ სთან შეურთებული — 1,28—69,72 — 1,53—61,87 1,05—43,56 — გაგნებია — 0,11—6,00 — — 0,21—8,72 —
3.	ფოსფორის სიმუავე გარილები 0,19—10,16 — 0,31 — 12,55 0,27—11,20 — ქაჟის სიმუავე 0,92—6,47 — 0,38 — 15,24 0,44—18,26 —	4.	1,84 გრ. 100,00 2,47 100,00 2,41 100,00.
5.	ამას გარდა გამოკვლეული ყვარლი პირველი ფაზის ნაცარი და მესამე ვაზის ფოთლე- ბისა და აი შედეგი ამ გამოკვლევისა:	6.	3 (ფოთლები): ნაცარის რაოდენობა: 1,81 გრ. 2,52 გრ. 7,50 გრ. წეალუ იხსნებოდა 1,03 ანუ 56,9% 0,74 გრ. ანუ 29,24% 0,17 გრ. ანუ 15,58%/ კრი ნახშირის სიმუავესთან შეურთებული 0,30 16,57 1,04 41,04 4,83 64,41 გაგნებია 0,07 3,86 0,11 4,60
7.	ფოსფორის სიმუავე გარილები 0,37 20,44 0,51 20,17 0,75 10,0, ქაჟის სიმუავე 0,04 2,21 0,12 4,95 0,75 10,0,	8.	1,81 100,00 2,52 100,00 7,50 100,00.

ამ გამოკვლევიდანაც ცხადათ სჩანს ერთის მზრით  
ისა, რომ სხვადასხვა ადგილის ვაზში სხვადასხვა რა-  
ოდენობაა ნაცრისა და მეორეს მხრით რიცც, რომ  
ვაზის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა მარილებს სხვა-  
დასხვა რაოდენობით შეიცავს: ტოტებში უფრო ბევ-  
რია კალიქვის მარილები და ფოსფორის სიმჟავისა,  
ვინემ ფოთლებში და ამ უკანასკნელში კირი და კა-  
უის სიმჟავე გადამეტებულნი არიან; ფოთლებში ფო-  
სფორის სიმჟავე ორჯერ ნაკლებია და კირი კი თითქმის  
16 ჯერ არის გადამეტებული. ვაზის ნაცრის უფრო  
დაწვრილებითი გამოკვლევა მოახდინა რუშაუერმა  
(Hruschauer) შტირიაში; გამოკვლევის საგნათ აი-  
ღო ერთი და იმავე ჯიშის ვაზი, რომელიც სამს სხვა-  
დასხვა გვარ მიწაში იყო ჩარგული: 1) ერთი მიწა  
ქვიშიანი იყო; 2) მეორე მიწა კირიანი და 3) მესამე  
მიწამისტი, ფხვიერი ფიქალიანი. თუმცა სამივე ად-  
გილის ვაზის ნაცარში ერთგვარი მინერალური ნი-  
ვთიერებანი აღმოჩნდენ, მაგრამ მათი ურთიერთო რა-  
ოდენობა კი ძალიან განირჩეოდნენ. პი ამ ნაცრების  
შედგენილება:

	1.	2.	3.
კალიქვა	24,13 <sup>0</sup> /₀	24,93 <sup>0</sup> /₀	26,41 <sup>0</sup> /₀.
ნატრი	7,59	7,00	8,57
კირი	30,28	35,94	31,71
მაგნეზია	4,66	7,12	9,16
რკინის ჟანგი	0,16	0,24	0,19
ფოსფორის სიმჟავე	16,35	19,55	16,87
კაუის სიმჟავე	1,45	0,62	2,48
გოგირდის სიმჟავე	4,55	4,02	4,13
ქლორი	0,83	0,58	0,41
	100,00	100,00	100,00

აგრეთვე ლირსია ლევანუან მოხდენილი ანალიზი  
ორი ერთისა და იმავე ჯიშის ვაზისა, რომელთაგანაც  
ერთი ლიმფორაუენის მიწაში იყო დარგული და მეტა-  
რე-ვეინსგეიმერში:

1. კონტროლ 2.

კალი ქვა	$17,55\%$	$25,31\%$
ნატრი	26,76	2,14
კირი	28,90	38,82
მაგნეზია	9,17	7,48
რკინის ჟანგი	0,39	—
ფოსფორის სიმჟავის რკინა	9,13	3,62
ფოსფორის სიმჟავე	—	16,81
გოგირდის სიმჟავე	3,44	4,94
ქლორი	3,05	0,87
კაფი	1,61	—

ამ გვარი სხვადასხვაობა ნაცრის რაოდენობისა  
სრულიათ დამოკიდებული არ არის ვაზის ჯიშები,  
რაც დამტკიცებულია მრავალი გამოცდილებით, რო-  
მელთაგანაც აქ მოვიყვან რატონდის და რავიცცას  
გამოკვლევას ტალიაში:

	რატონდის გამოკვლევა.	რავიცცას გამოკვ- ლევა.
ვაზის ჯიში	ნაცრის რა- ოდენობა.	ნაცრის რაოდე- ნობა.
Barbera	{ ტკბილში 4.94 გრ. ტოტებში 3.98 — ფოთლებში 10.74 —	3.86 გრ. 2.13 8.73
Grinolino	{ ტკბილში 3.66 ტოტებში 3.40 ფოთლებში 11.94	3.76 2.06 8.96

Pinot	ტკბილში	4.33	Freis	3.70
	ტოტებში	3.86		2.05
	ფოთლებში	10.67		8.69

აქედან ცხადია, რომ ვაზის სხვადასხვა ჯიშები თითქმის ერთი რაოდენობის მინერალურ ნივთიერებას შეიცავენ; მაშასადამე თუ ხანდისხან ამ ნივთიერებათა სხვადასხვაობა სჩანს, მაშინ ეს ვაზის ჯიშე არ უნდა იყოს დამოკიდებული. მრავალი გამოკვლევით არის დამტკიცებული, რომ მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობა ვაზში და მათი ურთიერთი მეტნაკლებობა სრულიათ დამოკიდებულია იმ მიწის შედგენილებაზე, რომელშიაც ვაზია აზრდილი. თუ მიწა რომელსამე ელემენტს გადამეტებულათ შეიცავს და სხვას რომელსამე კი ან სრულიათ მოკლებულია და ან ძალიან ცოტას შეიცავს, მაშინ ამ უკანასკნელის ნაკლი შეივსება გადამეტებული ელემენტით.

შიმიურ მოვლენათა შორის ერთი ელემენტის მეორეთი შეცვლა, ანუ, როგორც ქიმიკოსები ამბობენ, სუჟსტიტუცია დიდათ გავრცელებული არის; ეს მოვლენა ეჭვემდებარება ერთს საზოგადო კანონს, რომელსაც ქიმიაში ეჭვივალენტობას ეძახიან \*).

\*) ამის გასაგებათ რამე მაგალითი ავიღოთ, მაგ. გაჭი (გოგირდის სიმჟავის და კირის მარილი) ამ სისეულის შედგენილებიდან სჩანს, რომ 80 გრამ გოგირდის სიმჟავესთან შეერთებულია 56 გრამ. კირი ( $\text{SO}_3\text{CaO}$ ); თუ კირის მარილის მაგიერათ ავიღებთ იმავე სიმჟავის გალივების მარილს, მაშინ ჩვენ გნახავთ, რომ იმავე 80 გრ. გოგირდის სიმჟავესთან შეერთებული არის 94 გრ. გალივეა ( $\text{SO}_3\text{K}^2\text{O}$ ); აქედან ცხადია, რომ ერთი და იმავე

როგორც შინა გამოკვლევებიდან ცნახეთ, ვაზი  
სათვის ჩვეულებრივ უფრო საჭიროა ჰუნტების დრო ჩატა  
ეს სხეული იმ მიწაში, რომელშიც ჭარბი ჩატანულია,  
ან სრულიათ არ არის და ან ძალიან კოტაა, მაშინ  
ვაზი იძულებული იქნება ამ კალიქვის მაგივრათ შეი-  
თვისოს კირი და მაგნეზია, ან ნატრი, ნაკლი კალი-  
ქვის ეკვივალენტი.


როგორც ვიცით ორგანიული სიმჟავეების მა-  
რილებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ვაზის ცხოვრება-  
ში, მისი მოსავლის დავითარებაში და ღირსებაში;  
ავილოთ მაგ. ღვინის მარილი, კრემორტარტარი, რო-  
მელიც როგორც ვიცით, კარგა ბლომათ არის ყურ-  
ძნის წვენში და ღვინოში. თუ ეს სიმჟავე ერთის  
მხრით არ დამწვარიყო სუნთქვის ზედმოქმედებით და  
მეორეს მხრით არ დანელებულიყო მიწიდან ამოსუ-  
ლი კალიქვით, მაშინ ყურძნენი მუკვე დარჩებოდა და  
არც საჭმელათ და არც ღვინის დასაყენებლათ სრუ-

---

რაოდენობის გოგირდის სიმჟავის დასანელებლათ საჭიროა  
ან 56 გრ. კირი და ან 94 გრ. კალიქვა; მაშინ ერთ-  
მანეთის ბადალნი იქნებან, ეკვივალენტები და ერველ იმ  
შემთხვევაში, როცა საჭიროა კალიქვის კირით შეცვლა,  
მაშინ 94 კალიქვის მაგივრათ 56 გრამი კირი უნდა ავი-  
ღოთ; თუ კარგათ დაკავირდებით ამ მინერალურ ნივთი-  
ერებათა შედგენილებას, ჩვენ დაგრწმუნდებით, რომ ეს  
ორივე უანგი კირისა და კალიქვის ( $\text{CaO} \cdot \text{K}_2\text{O}$ ) ერთსა და  
იმავე უანგბადის რაოდენობას შეაცვენ, კ. ა. 16 გრამს;  
ეს მოვლენაც ცხადათ გვიჩვენებს მათ ეკვივალენტობას,  
რადგანაც ამავე 16 გრამ უანგბადთან შეერთებულია 40  
გრ. კირი და 78 გრამი კალი.

ლითა გამოსადევი არ იქნებოდა. მაშ საჭიროა, რომ  
ვაზმა იპოვოს იმ მიწაში, რომელშიაც ჩერქეზულფული  
საკმარისი კალიქვა სიმუავეთა დასანელებული და ტურქული  
კალიქვა მართლა საკმარისია, მაშინ ყურძნის სიმუავე  
ამით იქნება დანელებული და თუ ამ მიწას კალიქვა  
აკლია, მაშინ ვაზი იძულებული იქნება მიწიდან ამო-  
ილოს სხვა რომელიმე ტუტე ამავე სიმუავის დასანე-  
ლებლათ; მაშასადამე ამ გარემოებაში კალიქვის ად-  
გილს სხვა რომელიმე ელემენტი დაიჭერს, ან ნატრი,  
ან კირი, ან მაგნეზია, ან რკინა და თიხა, ერთი სი-  
ტყვით ის ტუტი ანუ ჟანგი, რომელიც მიწაში  
მოიპოვება ვაზის ფესვების ახლო. შესაძლებე-  
ლია, რომ კალიქვის ნაკლის ამ გვარი შევსება სრუ-  
ლიათ მავნებელი არ იყოს ვაზისათვის, მაგრამ ის კი  
ცხადი და ნამდვილია, რომ ეს გარემოება უგავლე-  
ნოთ არ დარჩება მოსავლის ბუნებისა და ლირსები-  
სათვის.

შოველ ნივთიერებას თავისი საკუთარი თვისე-  
ბა და ხასიათი აქვს, ფერი, გემო და ფიზიოლოგიური  
მოქმედება ცხოველის ორგანიზმებზე; ამ თვისებას,  
რასაკვირველია, ვაზის ხიკაც გადასცემს ყურძენს და  
მისგან დაყენებულ ღვინოს. სხვა რომ არა იყოს რა,  
საკმარისია ის მოვიგონოთ, რომ ყოველ მაგნეზიის  
მარილს მწარე გემო აქვს და ერთგვარი ფიზიოლო-  
გიური მოქმედება სტომაქზე; თუ ახლა წარმოვიდ-  
გენთ, რომ კალიქვის მაგივრათ მაგნეზიას უჭირავს  
ადგილი, მაშინ, რასაკვირველია, ყველა ზემოხსენებუ-  
ლი მისი თვისება ყურძენსაც და ღვინოსაც დაეტყო-  
ბა.— შურძენი და ღვინო მხოლოთ მაშინ იქნება კარ-  
გი, როცა, სხვათა შორის, მინერალურ ნივთიერებათა



ურთიერთი რაოდენობა დახლოვებული იქნება სა-  
ზოგადო შედგენილებასთან.—

ერთვენული

2) სავენახთ მაწის ამონეტა და მარიამის

რა გვარი მიწა უფრო შესაფერია ვაზის ცხოვ-  
რებისა და აღორძინებისათვის? რასაკვირველია რომ  
ის მიწა უფრო კარგი იქნება, რომელიც ბლომათ  
შეიცავს იმ მინერალურ ნივთიერებათ, რომლებიც  
ვაზის ნაცარში მოიპოვებიან. ამ ტიპს ძალიან უახ-  
ლოვდებიან. იმისთანა მიწები, რომლებიც ცეცხლ-  
მქშინავი მთების მასალით არიან მომზადებულნი,  
ვოლკანიური მოქმედებით არიან გამდიდრებულნი და  
გაპოხიერებულნი. ამისგამო ყველაზე უფრო გათქმუ-  
ლნი არიან ვეზუვის კალთებზე მოშენებული ბალების  
ღვინო, აგრეთვე სიცილიისა, ტენერი-  
ფისა, ანდისა, მექსიკისა და სხვანი; ერთი სიტყვით  
ვოლკანიური მიწა ყველაზე უფრო შესაფერია ვაზის-  
თვის და ამისთანა ადგილების ღვინოებია გათქმული  
საქვეყნოთ.— აგრეთვე კარგია გრანიტის მიწაც, აგ-  
რეთვე ცეცხლის მოქმედებით წარმომდგარი, მხოლოთ  
იმ პირობით, რომ იგი კარგა ფხვიერი იყოს და ქვე-  
ნიადაგათ ნოტიო თიხა არა ჰქონდეს.— ამ გვარი მი-  
წაც ძალიან კარგ ღვინოს იძლევა, კარგი ფერისა და  
ბუკეტისას.— ამ გვარი მიწისაა Beaune, Côte—  
Rôtie, რეინის ნაპირებისა და აგრეთვე ანდალუზიის  
და ქასტილიის ღვინოები. აგრეთვე კარგ ღვინოებს  
იძლევიან დაფხვნილი და გადაგვარებული პორტირის  
(მეწამული ქვა) მიწა, როგორც მაგალითებრ საფრან-  
გეთის გათქმული ბოჟოლეს ღვინოები; შეცვლილი  
და გადაგვარებული ბაზალტის (ფილაქნის) მიწაც

კარგ დვინოს იძლევა, როგორც მაგ. საქვეყნოთ გაა-  
თქმული ტოკიის და მატალონიის ღვინოები; შეკეთებული  
ასრეა, ზაგრამ მარტო მიწის შედგენილებაზე ურარესი მიუკა-  
ლამოკიდებული ღვინის სიკეთე; თითონ მიწის ნია-  
დაგის ფიზიკურ ბუნებას ძრიელ შეუძლიან შესცვა-  
ლოს და გადასხვაფეროს მიწის შედგენილების კარ-  
გი მოქმედება.— ჩვენ წინეთ ვრცლათ გავარჩიეთ ბუ-  
ნება, ვითარება და რაოდენობა იმ ნივთიერებათა,  
რომლებსაც ვაზი ართმევს მიწას; ამასთან ისიც ვნა-  
ხეთ, რომ სხვადასხვა მიწაში მოშენებული ვაზების  
მინერალურ ნივთიერებათა შორის ცოტაოდენი, თუმ-  
ცა კი, კარგათ შესამჩნევი განსხვაება არის. პქედან  
ის საზოგადო დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ მიწის შე-  
დგენილების და მასში აზრდილი ვაზის მინერალურ  
ნივთიერებათა შორის ერთგვარი დამოკიდებულებასუ-  
ფევს. ამასთან ისიცა ვნახეთ, რომ ზოგიერთ შემთ-  
ხვევაში ვაზს შეუძლია ერთი რომელიმე ნივთიერე-  
ბის მაგივრათ შეითვისოს ამის ბადალი, სხვა ამავე ზა-  
ხასიათის ნივთიერება; მაში ცხადია, რომ ვაზს შეუძ-  
ლია სხვადასხვა მიწას შეეთვისოს.

შოველ მიწაში ჩვენ უნდა გავარჩიოთ ორი შისი  
შემადგენელი ნაწილი, რომლებიც ერთმანეთისგან  
ძალიან განირჩევიან და რომელთა გავლენაც ამისგა-  
მო სხვადასხვა იქნება ვაზის ცხოვრებაზე: პირველი  
ნაწილი, მიწის ზედაპირი მცენარეებისგან არის მომ-  
ზადებული, რომელიც შესდგება მცენარეების ნაშთი-  
საგან და რომელშიაც ჩვეულებრივ მცენარე პირვე-  
ლობს თავისთვის საჭირო საზრდოს; მეორე შეადგენს  
პირველის ქვედა ნაწილს, ქვენიადაგს და რომელიც  
ქვაკლდიდან არის მომზადებული მათი გადაგვარებით;

ქვაკლდეს ხომ ყოველთვის ვპოულობთ მიწის ოომელი  
სამესიღრმეზე. ამ ქვენიადაგის ხასიათს დღე სტერეოფასტი  
ჩვენ ადვილათ შევიგნებთ, თუ წატემაზედგუცრტორსკებულ  
უნდა მომხდარიყო იმ ზედანაწილის ანუ ზენიადაგის  
მომზადების დროს, ოომელიც შეადგენს აღმოსაცე-  
ნებელ მიწას. ხომ ვიცით, რომ დედამიწა პირველ  
ხანებში სრულიათ გამდნარი იყო და გაცივების დროს  
მისი ზედაპირი გადიქტა ქვა-კლდეთ ჯავარიანით, ხივ-  
სათ, მეწამულქვათ და სხვანი. ხშირათ ესევე ხდება  
ჩვენს დროშიაც, ოოცა ან ოომელსამე ზღვიდან ვულ-  
კანიურის ძალით გაჩნდება ახალი მიწა და ან ოომე-  
ლიმე ცუკხლ მქშინავი მთა ამოხეთქს გამდნარ ლა-  
ვას (lave). მს პირშო მიწა, ოომელმაც პირველათ  
დაინახა ქვეყნიერება და ოომელიც პირველათ შე-  
ეხო ჰაერს, რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით არავითარს  
მცენარეობის ნიშანს არ შეიცავს; ჯერეთ ეს ძალიან  
მაგარია, მაგრამ ჰაერის და წყლის (წვიმების) მოქმე-  
დებით მალე გადაგვარდება, ზედა კანი დაეფშევნება  
და ამ ფხვიერში მალე გაჩნდებიან უბრალო აგებუ-  
ლების მცენარენი, ოომლებიც ერთი ხანა ცხოვრე-  
ბის შემდეგ თესლს გაიჩენენ და დაიხოცებიან; მცე-  
ნარე დალპება, განიხრწნება, მიწის კანს შეერევა  
და თესლისგან კი მომავალ წელს უფრო მრავალი  
და უფრო ძრიელი მცენარენი გაჩნდებიან, რასაკვი-  
რველია, წინა წლის ჯიშისა. ამ გვარი მოქმედებით  
რამდენიმე ხნის განმავლობაში მიწა ისე შეიცვლება,  
რომ სხვა გვარ, უფრო რთულ მცენარეებსაც შეე-  
ლებათ ცხოვრება, თუ რასაკვირველია, რამე შემთხვე-  
ვით მათი თესლი აქ ჩამოვარდა (ან ქარი გადმოიტანს,  
ან ფრინველი და ან ჭია-ლუა). ამ გვარი მცენარეთა

გამეორებული ცხოვრებით ჩნდება ის ზენიადაგი: ერთის მხრით შეუწყვეტელ ზედ-მოქმედებამ ფიჭვებულ უდია აგენტებისამან ქვა-კლდეზე და მეორეს მხრით შეუწყვეტელ მისაკა თა და ცხოველთა შემწეობამ გააჩინეს და აჩენენ იმ მიწებს, რომლებსაც ეხლა ჩვენ ვხედავთ ყოველგან, სადაც კი რამე მცენარე ცხოვრობს. მიწის ზენიადაგის ამ გვარი მომზადება ჩვენ ცხადათ გვიჩვენებს იმ კავშირს, რომელიც არსებობს ზე-და-ქვე-ნიადაგთა შორის; ცხადია, რომ ზენიადაგის შედგენილება შეიძლება სხვადასხვა იყოს იმის დაგვარათ, თუ რისგან იყო შემდგარი თითონ ის ქვა-კლდე, რომლისაგანაც მომზადდა მიწა. ამაზე მეტი ლაპარაკი აღარ არის საჭრო, რადგანაც წინეთაც გავარჩიეთ ის სხვადასხვა გვარი ცვლილება, რომელიც გამოიარა ჩვენი დედამიწის კანმა პირველი გაჩენის შემდეგ.— რასაკვირველია, რომ მიწის მომზადება ყოველთვის ისე არა ხდება, როგორც ეხლა ავსწერეთ; ამასთან ისიც არის შესაძლებელი, რომ რომელსამე ქვა-კლდეზე მომზადებული მიწა იქ აღარ დარჩეს, არამედ წვიმების და სხვა ფიზიკური აგენტების ზედგავლენით, იქედან სხვაგან იქნას გადატანილი. წვიმა-ნიალვრებისგან წალებული მიწა შეიძლება მოგროვდეს ან დაბლობ და ან ვაკე აღვილზე. ამისგამო შესაძლებელია, რომ ერთი ხასიათის ქვენიადაგზე მოგროვდეს სრულიათ სხვა ხასიათის ზენიადაგი. მაშასადამე მოსალოდნელია და ძალიან აღვილი წარმოსადგენიც, რომ ქვე და ზენიადაგთა შორის დიდი განსხვაება იყოს, მათ შემაღენელ ნივთიერებათა შორის ერთგვარობა არასუფევდეს— ამასთან რასაკვირველია, ისიც შესაძლებელია, რომ ეს ორი სხვადასხვა ხასიათის ქვე-და-ზე-ნიადაგი

ერთმანეთში აირიოს მუდმივი და შეუწყვეტელი  
სხვადასხვა ფიზიკური აგენტების მოქმედებით, და ან  
თითონ კაცისაგანაც მიწის შემუშავების დროს შემდეგი სხეულები მოიპოვებია,  
თუმცა კი სხვადასხვა რაოდენობით: ქვიშა, თიხა,  
კირნარი (კირისქვა) და ჰუმუსი (მცენარეების ნაშთი,  
რასაკვირველია სრულიათ გადაგვარებული). როცა  
ჩვეულებრივ ამბობენ, რომ მიწა ქვიშიანია, ან თი-  
ხიანი და ან ჰუმუსიანი, მაშინ ეს იმას კი არ მოას-  
წავებს, რომ იმაში ნახსენები სხეულის მეტი არა  
მოიპოვებოდეს რა, არამეთ მხოლოთ იმას, რომ ამ  
სახელის სხეული მხოლოთ გადამეტებულია სხვებზე;  
რასაკვირველია მარტო ამ ოთხი სხეულებიდან არ  
შესდგება მიწა, მას ყოველთვის შერეული აქვს მრა-  
ვალი კიდევ სხვებიც, რომელთა ბუნება და რაოდე-  
ნობა აგრეთვე ცვალებადია; ესენიც, რასაკვირველია,  
მოტანილნი იქნებიან სხვადასხვა შემთხვევით. აგრო-  
ნომებს აქვთ მიღებული ერთგვარი კლასიფიკაცია,  
რომელიც გვიჩვენებს არა მარტო მიწის ქიმიურ შე-  
დგენილებას, არამედ მის ფიზიკურ თვისებასაც, რო-  
მელიაც აგრეთვე დიდი გავლენა აქვს საზოგადოთ  
ყოველი მცენარის და კერძოთ ვაზის კულტურაზე;  
მაწას ჰყოფენ ორ ჯგუფათ: მძიმე და სუბბუქ მიწათ.  
პირველში, ე. ი. მძიმე მიწაში ბევრი თიხა ურევია;  
ამ თიხის რაოდენობა ხშირათ ადის  $40-80\%$ , დინ;  
მაშასადამე თიხა თითქმის გადამეტებულია სხვა სხე-  
ულებზე; მსუბუქ მიწას ეძახიან იმას, რომელშიაც  
ქვიშის, კირის და ან ჰუმუსოს რაოდენობა გადამე-  
ტებულია თიხის რაოდენობაზე.

ახლა თუ იმას გავშინჯავთ, რომელ მიწაში უნ-  
და ჩაიყაროს ვაზი, ჩვენ მაშინ ვნახავთ, რომ ვაზს

შეუძლია იცხოვროს სხვადასხვა გვარ მიწებში, რომ-  
ლებიც განირჩევიან ერთმანეთისგან არა მარტო ფრინული  
ვისი ბუნებით და თვისებით, არამედ ქიმიური შეტყოფის  
გენილებითაც. ვაზი ხეირობს ყოველგვარ მიწაში,  
თუ, რასაკვირველია, სრულიათ უნაყოფო არ არის;  
ვაზი ბევრს არა თხოულობს მიწისგან, ყოველგვარ  
მიწაში შეუძლია ცხოვრება და აღორძინება, თით-  
ქმის კირნარ-ფრიალ კლდეებზედაც, რომელბზედ  
სხვა მცენარეებს სრულიათ არ შეუძლიათ ცხოვრე-  
ბა. მაგრამ ამასთან იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ  
ყოველი მიწა ერთგვარათ არ უხდება ვაზს, ყოველ  
მიწას ერთგვარათ არ იჭანს. ძრიელს და მძიმე მი-  
წაში, თახიანში და ნოკიერში ვაზი ძალიან ხარობს,  
ტანი ძალიან ეზრდება და მოსავალსაც დიდს იძ-  
ლევა. ამის წინააღმდეგ მსუბუქ და მჟღე მიწაში,  
ფხვიერში და მშრალში ვაზი ისე ღონიერი არ იქნე-  
ბა, არამედ უფრო უღონო და ნაზი და არც მოსა-  
ვალი ექნება ბევრი. ამ ორთა შეუა, რომელი უფრო  
სარჩევია? შენიშნულია, რომ თუ ვაზი კარგათ არის  
ნახარი, სადაც მისი ტანი კარგათ არის აღორძინე-  
ბული და სადაც ბევრი ნაყოფიც მოაქვს, იქ ეს ნა-  
ყოფი ისე კარგი არ არის და ისე კარგ ღვინოს არ  
იძლევა, როგორც იქ, სადაც ვაზის ცხოვრება შეწუ-  
ხებულია, მისი ტანი კარგათ არ არის აღორძინებუ-  
ლი და ნაყოფიც ცოტა მოაქვს, ეს ნაყოფი კარგი  
არის და უფრო კარგ ღვინოს იძლევა. მს გარემოე-  
ბა ადვილი შესაგნებია, თუ მოვიგონებთ, რომ ყურ-  
ძნის ღირსება ყველაზე უფრო დამოკიდებულია შა-  
ქრის რაოდენობაზე და რომ რამდენათაც ბევრ ყურ-  
ძენს მოისხამს, იმდენათ ამ ყურძენში ნაკლებათ იქ-  
ნება შაქარი.—

გამოცდილება და დაკვირვება გვარწმუნებს, რომ  
რა გვარიც უნდა იყოს მიწა, ყოველთვის შეუძლებელი ი  
მისი სავენახოთ გამოყენება, თუ, რასა ტრადიტიუნის კა  
ჭირო მოვლის და ხელის შეწყობას არ მოაკლებენ.  
**მრავალი** გამოჩენილი და ნაქები ვენახების მიწის  
ქვენიადაგი ხან გრანიტისაა, ხან თიხა-ფილაქნისა, ხან  
კაუნარისაა, ხან კირნარისა და ხან ვულკანიური და  
ამ სხვადასხვა გვარობის მიუხედავათ, ღვინო ყოველ-  
თვის კარგი დგება.

**მრთის** მხრით ცხადია, რომ სავენახოთ მრავალ  
გვარი მიწაა გამოსადევგი, მაგრამ მეორის მხრით მი-  
წის ზედგავლენა მოსავლის თვისებაზე ძრიელ მრავალ  
გვარია და ძრიელ ცვალებადი, არა თუ მარტო სხვა-  
დასხვა გარეგანი გარემოების გამო, რომელთა წარ-  
მოდგენაც ჩვენ წინათვე არ შეგვიძლია, არამედ თი-  
თონ მიწის ფიზიკური თვისების გამოც. ამ თვისე-  
ბათაგან ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს და  
ძლიერია მიწისგან ბეჭრათ თუ ცოტათ სინოტიგეს შე-  
ნახევა. სხვა გარემოებათა ერთგვარობაში ვაზი სხვა-  
დასხვა გვარ ნაყოფს მოგვცემს იმის დაგვარათ თუ  
რა ხარისხისაა მიწის სინოტივე, მეტადრე ქვენიადაგის.  
**თუ** მიწა მშრალია, მაშინ ვაზისგან მოსხმულ ყურ-  
ძენში ბევრი შაქარი იქნება და სიმჟავე კი ნაკლები.  
ამის წინააღმდეგ თუ მიწა სველია და გრილი, მა-  
შინ ყურძენს სიმჟავე ბევრი შერჩება, გადამეტებულათ  
მჟავე იქნება; ამას მიემატებიან წებოვანი და აზო-  
ტიური ნივთიერებანიც, რომელთა რაოდენობაც აგ-  
რეთვე დიდი იქნება და შაქრისა კი ნაკლები. ამის  
გამო ღვინო ცუდი დადგება და ადვილი წასახდე-  
ნიც.—**მრთი** სიტყვით ვაზს ნოტიო ადგილი არ უკ-

ვარს; როგორც საფრანგეთ შიამბობენ: „წყალი ვაზის  
მტერიალ“, რაც იმას ნიშნავს, რომ იმისთან ქუდიშებული  
რომლის ქვენიადაგიც წყლიანია და სველი ცალი მარია  
წყალია შეგუბებული, იქ ვაზი კარგათ ვერა ხერობს;  
ვაზი ყოველ მიწას აიტანს, მხოლოთ იმ პირობით  
კი, რომ იმისი ფესვები წყალში არ იყვნენ ჩამდგარ-  
ნი; საჭიროა, რომ ვაზის ფესვებთან წყალი არ იყოს  
შეგუბებული. მაშასადამე ვაზი უფრო იმისთანა მიწას  
აიტანს, რომელიც მსუბუქია, ფხვიერი, ფოროვანი და  
რომელიც წყალს კარგათ იუღენთავს.

ახლო-მახლო მიწებში, რომელთა ქიმიური შე-  
დგენილებაც ერთგვარი არ არის, შესაძლებელია ვაზ-  
მა ერთგვარი ნაყოფი იქონიოს, ერთი რაოდენობის  
შაქარი ყურძენში და აგრეთვე სიმჟავეც, მაგრამ ამის  
მიუხედავათ ღვინის თვისება და ლირსება სრულიათ  
სხვადასხვა იყოს. როგორც ვსთქვით, ნოტიო ქვენია-  
დაგი ხშირათ თიხაა, მაგრამ თუ ამ თიხას ისეთი მდე-  
ბარეობა აქვს და ან კიდევ ისეთი რამა აქვს შერეული,  
რომელიც წყლის გაუანვას აადვილებს, მაშინ ეს მიწაც  
იქნება გამოსადევი სავენახოთ. თუ თიხას შერეული  
აქვს რკინის ჟანგი, მაშინ ეს მიწა ძალიან კარგიციქ-  
ნება; საფრანგეთის გათქმული ღვინოები: ერმიტაჟი,  
რომანე, აგრეთვე პორტუგალიის მალაგა და სხვანი  
სწორეთ ამისთანა მიწაში ჩარგული ვაზებიდან არიან;  
აგრეთვე მიწას სოტერნისა, შატო-იკემისა და სხვანი.  
მრთი სიტყვით, თუმცა თიხიანი ქვენიადაგი ვაზის-  
თვის მავნებელია, მაგრამ თუ ეს ქვენიადაგი, სხვა-  
დასხვა გარემოების გამო, წყალს ადვილათ იუონავს  
და ადვილათ შრება, მაშინ ვნების შიში აღარ არის;  
სველს თიხაში ვაზი თუმცა კარგათ იზდება, ძალიან

ლონიერიც არის, მაგრამ ხილს ცოტას ისხამს და ღვი-  
ნოც ძნელი შესანახია. ამ გვარი მიწეკუჯგუფში ყველა შე-  
მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იმ ტანგენტულ ტანგენტუ-  
სიცხეები და გოლვა იცის! ამ შემთხვევაში ვაზს საკ-  
მარისი ყურძენი ექნება, რომელიც სრულიათ ცუდი  
არ იქნება. თუ გვალვიან და ცხელ ადგილებში მი-  
წას ცოტაოდენი სინოტივე არა აქვს, მაშინ გვალ-  
ვის ზედმოქმედებით ვაზს ფოთოლი ჩამოსცვივა, ყურ-  
ძენი დაჭინება და გამოსავალი ცოტა და ცუდი ექ-  
ნება.—ამ ერთი შემთხვევის გარდა, საზოგადოთ სარ-  
ჩევია, რომ ვაზი ჩაიყაროს მშრალს ადგილში და  
ღრმათ. თუ მაინც და მაინც ვაზი ნოტიო ადგილზე  
უნდა მოშენდეს, მაშინ მიწა ძალიან ღრმათ უნდა  
დაიბაროს, არა ნაკლებ ერთი ადლისა. აგრეთვე კარ-  
გი იქნება, რომ ბარვის დროს ქვიშა, კენჭები და  
ქვის ნამსხვრევი მიემატოს, ამით მიწა ფორმოვანი გახ-  
დება, წყალს ალარ შეიგუბდეს და ჰერის ცირკულია-  
ცია გაადვილებული იქნება. საზოგადოთ, მშრალია  
თუ სველი სავენახო მიწა, იმას ბლომათ უნდა ჰქონ-  
დეს შერეული ქვიშა და კენჭები.—მაგალითებრ, გათ-  
ქმული პოლნების ვენახების მიწაში 30%, ქვები და  
კენჭები ურევია; ჰომერის ვენახებში არა ნაკლებ  
20% და აგრეთვე შამპანიაში; საფრანგეთის გარდა,  
სხვაგანაც—ტრალიაში და ისპანიაში—გათქმული ღვი-  
ნოების მიწა ქვიშა და კენჭებ ნარევია.—საფრანგეთ-  
ში დიდიხანია შეგნებული, რომ მიწის ფიზიკურ თვი-  
სებას და შედგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს  
ღვინის ღირსებაზე. გათქმული ღვინოების სოტერნის  
ვენახების მიწა ჰატარა გორაკს წარმოადგენს, რომ-  
ლის ქვენიადაგიც შემდგარია მუქი ყვითელი თიხის-

გან და ოომელსაც შერეული აქვს სიპი ჭვის კრე-  
ჭები, ოომლებიც ხშირათ კირის ჭვისაა. ფეჭრანუ ტეჭული  
ნიადაგს მხოლოთ 30 სანტიმეტრი სისქე დაჭვაც მოჭრიულ  
ლი იკემის ვენახების ქვენიადაგი შემდგარია კირნა-  
რის ნამსხვრევი ქვებისაგან. ასეთივეა ხერესის ვენახე-  
ბის ქვენიადაგი. თუ ოოგორი გავლენა აქვს წმინდა  
თიხის ქვენიადაგს, ეს ჩვენ შეგვიძლია შევიგნოთ  
შემდეგი მაგალითიდან: შირონდაში (საფრანგეთში)  
მდინარეების ნაპირებზე და აგრეთვე პატარ-პატარა  
კუნძულებზე დიდძალი ვენახებია მოშენებული; ამ  
აღგილებს პალუს (palus) ეძახიან და მათი ქვე-ნია-  
დაგი წმინდა თიხისგან არის შემდგარი. ამისგამო  
აქ ყურძენი შედარებით გვიან მწიფდება და არც  
ლვინოებია გათქმული. ამავე აღგილების ახლო, გრავ-  
ში (graves) ქვენიადაგი მიწისა ქვიშიანია და აქ  
ათი-თხუთმეტი დღით უფრო აღრე მწიფდება ყურ-  
ძენი და ლვინოც კარგი დგება. შალაქ ბორდოს ახ-  
ლო იმავე პალუსში ქვენიადაგი შემუშავებით გადა-  
ბრუნებულია და ქვიშა აქვს შერეული; ამის გამო  
იქაც ყურძენი ერთი კვირით აღრე მწიფდება, რაც  
მხოლოთ მით არის გამოწვეული, რომ ეხლა ეს ქვე-  
ნიადაგი აღარ იგუბებს წვიმის წყალს.

გაზის ფესვებთან შეგუბებული წყლის ცუდი  
მოქმედება მით აიხსნება, რომ წყალი ცუდი გამტა-  
რებელია სითბოსი; ამის გამო მზის სხივები კარგათ  
ვერ ათბობენ მცენარის ფესვებს; ამას კიდევ სხვა გა-  
რემოებაც ემატება: წყალი მზის სითბოს ზედმოქმე-  
დებით, რასაკვირველია, ორთქლათ იქცევა და ამ ორ-  
თქლების დროს ძრიელ აცივებს ვაზის ფესვებს. მრთი  
სიტყვით, სველი და ნოტიო ქვენიადაგი ყოველთვის

აგვიანებს ყურძნის მომწიფებას და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მავნებელია — ყინვის დროს ვაზს ფესვები ეთოშება და ხმება. შეუმცა ნოტრო ქვემითადგი თითონ ვაზის ზრდას და გაძლიერებას ჩვეულებრივ გარემოებაში არა სწყენს, არამედ ხელს უმართავს, მაგრამ ეს გარემოებაც ყურძნისთვის მავნებელია, რადგანაც კარგათ არა მწიფდება და ღვინო სუსტი და ძნელი შესანახი დგება. მიღევ გავიმეორებთ, რომ თუ თიხნარს ქვენიადაგს ქვიშა და კენჭები აქვს შერეული, მაშინ ის წყალს აღარ შეიგუბებს, მშრალი იქნება და ღვინო ცუდი არ დადგება. საფრანგეთის გათქმული Côte-d'or'ის მიწის ანალიზი, აგრეთვე უირონდის St. Emilion'ისა გვიჩვენებს, რომ მათს ქვენიადაგში ბლომათ არის ქვიშა და კენჭები; Zt. Emilion'ი შეიცავს  $38\%$ ; graves'ში იმის რაოდენობა აღის  $42\%$ , იკემში  $55\%$  და ლაფიტში  $71\%$  დის. —

მაშინ ცხადია, რომ სავენახო მიწის ამორჩევის დროს ეველაზე პირველათ ეურადდება იმაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ ქვენიადაგი წეალ-გაუგალი არ იყოს, რომ წყალს არ იგუბებდეს ვაზის ფესვებთან; მაშინადამე ეს ქვენიადაგი წმინდა თიხისა არ უნდა იყოს; მაგრამ თუ ქვენიადაგი თიხაა და ქვიშა კენჭები ბლომათა აქვს შერეული, მაშინ ეს მიწაც კარგი გამოსადევი იქნება. საზოგადოთ სასურველია, რომ რა გვარიც უნდა იყოს ქვენიადაგი, იმას ჰქონდეს შერეული ქვიშა და კენჭები, რომლებიც, როგორც ვნახეთ, ძალიან კარგათ მოქმედობენ ყურძნის მომწიფებაზე და ღვინის ლირსებაზე.

ამ გვარათ თუმცა წყალგაუვალი თიხის ქვენიადაგი ვაზისთვის სასარგებლო არ არის, მაგრამ არც

ის იქნება კარგი, თუ მთელი მიწა, ზე-ქვენიადაგი  
ცხრილს მიემსგავსება და სინოტივეს ცოტაოდენათაც  
მაინც ვერ იძაგრებს; ვაზის ცხოვრება ამისთანა მიწა-  
შიაც გაძნელებული იქნება, უწყლობა დაასუსტებს  
მის ღონეს, ყურძნის მარცვალი კარგათ არ გაიზდე-  
ბა და მოსავალი ყოველთვის მცირედი იქნება, მე-  
ტადრე ჩვენისთანა ქვეყანაში, სადაც ზაფხულობით  
დიდი სიცხეები იცის და წვიმა კი იშვიათია. ამ გა-  
რემოებაში, რასაკვირველია, ხშირი მორწყვა ხელს მო-  
უმართავს ვაზის ცხოვრებას, მაგრამ სარწყავი სავენა-  
ხო ადგილებიც ხომ ხშირი არ არის. ამ შემთხვევის-  
თვის, ე. ი. როცა მიწა ძალიან ფხვიერია და წყალს  
მალე იშრობს, გამოჩენილი საფრანგეთის ენოლოგი  
ოდარი ურჩევს შემდეგს საშუალებას: „თუ საჭირო-  
ება მოითხოვს, შეიძლება ვენახის ზეადაგი ქვების ნამ-  
ტვრევებით მოიფინოს და მარტო ვაზების გარეშემო.“  
ამ საშუალებით ვაზის ფეხსვები გრილათ შეინახება.  
ზაფხულში მზის სხივების ზედმოქმედებით მიწა მალე  
შრება და თუ მიწა ფხვიერია, მაშინ ხომ, რასაკვირე-  
ლია, უფრო მალე გაშრება, მაგრამ თუ მიწა დაფა-  
რულია ზედმოყრილი ქვებით და კენჭებით, მაშინ  
ესენი აბრკოლებენ წყლის ორრთქლებას და ამისგამო  
მიწა დიდხანს შეირჩენს საჭირო სინესტეს, სისველეს.  
მარტო ამით არ თავდება ვენახში დაყრილი ქვების  
მნიშვნელობა; დეკანტოლის მოწმობით, Soix'ს ში  
ყოველი ვაზის გარეშემო მიწა მოფენილია მოზღიული  
კენჭებით და ქვების ნამტვრევებით, რომლებიც მზის  
სხივების შემწეობით თბებიან და თავის სითბოს  
უკუაჭცევენ ყურძენზე და ამით ხელს უმართავენ  
მომწიფების დასრულებას; კენჭები და ქვები, მეტად-

რე თუ კაუისა არიან და გალიპულნი და ფერიც მუ-  
ქი არა აქვთ, ისე მოქმედობენ, როგორც სიწათლის  
სხივებზე სარკე, სითბოს უკუაქცევენ და ყურძნების  
აწოდებენ ამ უკუაქცეულ სითბოს; ამ გარემოებაში  
ყურძენი სითბოს ორწყაროთა შორის იქნება მოთავ-  
სებული; ერთი წყარო მზის პირდაპირი სითბოს სხი-  
ვები არიან, რომლებიც თავის მოქმედებით ყურძენს  
ათბობენ და მეორეც ის სითბო, რომელიც დაყრი-  
ლი ქვებიდან არის უკუაქცეული. მრთი სიტყვით, რო-  
გორც პორტესი და რუსიენი სიმართლით ამბობენ,  
„ამ მდგომარეობაში ყურძენი სითბოში და სინათლე-  
ში ბანაობს.“ ვენახში მოყრილი ქვების მნიშვნელო-  
ბა ამით არა თავდება; სითბოს გაორკეცების გარდა,  
ეს ქვები კიდევ სითბოს ინახავენ ღამისთვის და  
ღამითაც ვაზს და ყურძენს არ აკლებენ საჭირო სი-  
თბოს. ზამოკვლეულია და დამტკიცებული, რომ ქვა  
უფრო გვიან ცივდება, ვიდრე მიწა, გამთბარი ქვა მი-  
წაზე უფრო ნელ-ნელა ჰყარგავს თავის სითბოს; რაც  
შეეხება სხვადასხვა მიწის თვისებას, აქ ცნობილია,  
რომ შავი მიწა უფრო ადრე გრილდება, შავი მიწის  
შემდეგ მოდის თიხა, რომელიც აგრეთვე ქვიშაზე და  
ქვებზე ადრე ცივდება და ჰყარგავს თავის სითბოს.  
ამისგამო ქვა ანუ კენჭებ შერეული მიწა ძალიან გა-  
მოსაღევია ვაზის მოსაშენებლათ, რაღვანაც ძალიან  
ხელს უმართავს ყურძნის მომწიფებას.— მინდა ქვი-  
შას და ქვიშა შერეულს თიხას კი არ შეუძლია ამ  
მხრით ასეთი სიკეთის მოტანა.— მდარისაგან ნარჩე-  
ვი საშუალება, ესე იგი ქვებით მოფენა თეთრი ყურ-  
ძნისთვის უფრო გამოსაღევია, თუმცა არც წითელ  
ყურძნისთვის არის უსარგებლო; ამ საშუალებით მი-

წაში შენახული სინესტე გამოაწვევს მცენარეობის  
ძალას, მოსავალი უხვი და კარგი იქნება, ყურძენი  
დაიცავს დალბობისაგან და იმ საძაგლით შენიშვნები  
რომელსაც ღვინის სიმსუქნეს ეძახიან (la draise).

გენახის მოშენების დროს საჭიროა ყურადღება  
მიექციოს აგრეთვე იმასც, თუ რომელი მიწა უფრო  
მაღლ თბება მზის სხივების შემწეობით, რაც სრულიათ  
დამოკიდებულია თითონ მიწის ფერზე: შავი მიწა,  
ჰუმუსიანი მიწა, რომელიც ბლომათ შეიცავს მცენა-  
რეთა ნაშთს, ყველაზე უფრო მაღლ და კარგათ თბე-  
ბა მზის სხივების შემწეობით; თუ ეს მიწა მზის სხი-  
ვებით კარგათ არის განათებული, მაშინ ერთი სა-  
ათის განმავლობაში მისი ტემპერატურა  $18^{\circ}$ -დან ადის  
 $30^{\circ}$ -დინ, მაშასადამე მატულობს  $12^{\circ}$ -ს; ამავე გარე-  
მოებაში თეთრი მიწა მხოლოდ  $2^{\circ}$ -ს მატულობს. აյ  
ამის გარდა, მეორე მხარეც არის ყურადღების ღირსი,  
ეს ისა, რომ ჩრდილში შავი მიწა უფრო მაღლ ჰყარ-  
გავს მოპოვებულ სითბოს, ვინემ თეთრი. თუ სხვა-  
დასხვა გვარ მიწებს ფერი ერთგვარი აქვთ, მაშინაც  
შესაძლებელია მათ შორის განსხვავება: თუ თეთრი  
მიწა კირნარია, მაშინ თუმცა ეს მიწაც ძნელათ თბება  
და ძნელათვე ჰყარგავს მოპოვებულ სითბოს; მაგრამ თუ  
ამის წინააღმდეგ თეთრი მიწა თიხაა ან თიხა ნარევი,  
და სინოტივეცა აქვს, მაშინ ეს მიწა თუმცა ძნელათ  
თბება, მაგრამ მოპოვებულ სითბოს ძალიან მაღლ და  
ადვილათ ჰყარგავს.

საფრანგეთის მწავლულმა, Petit Loffit'მა მო-  
ახდინა შედარებითი გამოკვლევა მუქი და საღი ფე-  
რის მიწებზე და დარწმუნდა, რომ შავი მიწა უფრო  
მაღლ თბება თეთრ მიწაზე; ამას გარდა, ამავე მწავ-

ლულმა ისიც გაშინჯა თუ ერთგვარ სიღრმეზე (30)  
სანტიმეტრზე) რა გვარათ არიან შემთხვეულწყვეტილ  
სხვა ფერი მიწები და ამით დარწმუნდა ულმერწყვეტ  
შემთხვევაში მიწა უფრო თბილი იყო, ვინემ ჰაერი;  
ეს განსხვავება შავი მიწისთვის შეადგენდა (30 სან-  
ტიმეტრის სიღრმეზე)  $2, \frac{1}{3}$  და თეთრისთვის მხოლო  
 $1, \frac{1}{5}$ . ამ ახლო ხანში პოლარიმაც მოახდინა ასეთივე  
გამოკვლევა ორი ფერის მიწაზე, რომელთაგანაც ერთი  
ნაცრის ფერი იყო და მეორე მუქი, თამბაქოს ფერი;  
ორივე მიწის ნიმუში იყო გამოდგმული ორი საათის  
განმავლობაში აგვისტოს მზის სხივებს ქვეშ და აღ-  
მოჩნდა რომ მუქი მიწის ტემპერატურა  $12^{\circ}$  უფრო  
მაღალი იყო, ვინემ ნაცრის ფერისა; ამ გამოკვლევის  
დროს ჰაერის ტემპერატურა იყო  $41^{\circ}$ , ნაცრის ფე-  
რი მიწისა  $43^{\circ}$  და მუქი მიწისა კი  $55^{\circ}$ , — მაშასადა-  
მე შავი მიწის ტემპერატურამ  $14^{\circ}$  ით გადაამატა ჰაე-  
რის ტემპერატურას და თეთრი მიწისამ კი მხოლოდ  
 $2^{\circ}$ -ით. —

საფრანგეთში მევენახეებმა მეცნიერებაზე ადრე  
შეიგნეს მიწის ფერის ასეთი გავლენა და ამის გამო  
თეთრ მიწაში უფრო ხშირათ თეთრი ყურძნის ვაზსა  
რგავენ, რომელიც საზოგადოთ უფრო ადრე მწიფ-  
დება და ისე დიდძალ სითბოს არა თხოულობს, რო-  
გორც შავი ყურძენი. ზამოჩენილი ზიუოს სიტყვით  
„მიწის ფერი უგავლენო არ არის ყურძნის ღირსე-  
ბაზე; ზამპანიაში რამდენათაც ნაკლებ წითელია მი-  
წა, იმდენათ არ ვარგა წითელი ყურძნისთვის და  
ამისგამო თეთრ და ნაცრის ფერ მიწაში ყოველთვის  
თეთრი ყურძნის ვაზსა რგავენ.“

დაახლოვებით ამაში მდგომარეობენ ფიზიკური



ელემენტები სავენახო მიწის ამოსარჩევათ; ტუფიული კლედავთ ყველა ამის შეგნება და გამოყენება. ტუფიული ძნელი არ არის, მაგრამ დიდი დაკვირვება და დიდი გამჭრიახობა იყო საჭირო, ვინემ კაცი ამას შეიგნებდა.—

მრთი სიტყვით ქიმიური და ფიზიკური მხრით ის მიწა ჟუფრო გამოსაღევი იქნება ვენახის მოსაშენებლათ, რომელიც შეიცავს ყოველ იმ ელემენტებს, რომლებზედაც ზევით იყო ნათქვამი შესახებ ვაზის ნაცრის შედგენილებისა და ამასთან იმ მდგომარეობაში, რომ არც წყალს იგუბებდეს, არც ძალიან მალე შრებოდეს და საკმაო ქვა-ქვიშა ჰქონდეს შერეული.— როგორც ვნახეთ ამ გვარ მიწას ძალიან უახლოვდებიან თავისი ქიმიური შედგენილებით და თავისი ფიზიკური თვისებით ის მიწები, რომლებიც ვოლკანიური მოქმედებით არიან მომზადებულნი.—

### 3. ზოგიერთ მანერაღურ ნივთიერებათა ზედგავდენა ეურმნის თვისებაზე.

როგორც ვნახეთ მიწა შეიცავს მრავალ სხვადასხვა ქიმიურ ელემენტებს, რომლებიც ცოტათ თუ ბევრათ გიდაღიან შიგ დარგულ ვაზის ტანში; ყოველ ელემენტს, რასაც კვირველია, თავისი საკუთარი ქიმიური და ფიზიოლოგიური თვისება აქვს, რომელსაც უეპველია გადასცემს თითონ ყურძენსაც და ამით აქედან დაყენებულ ღვინოს.

თ) რვანის ჟანგის მნიშვნელობა. უერძნის ანუ ღვინის ფერი ხშირათ დამოკიდებულია რკინის ჟანგის რაოდენობაზე სავენახო მიწაში, მეტადრე თუ ეს ჟანგი შერეული აქვს თიხას. მვემო საფრანგეთის ძა-

ლორის წითელი, მუქათ შეფერილი ღვინოები გმის-  
თანა ვენახებიდან მზადდება, რომლებიც შემდეგ შეკრი-  
ლებილია წითლათ, თიხანარევი და რკინის უძველეს შეკრი-  
ნარევი მიწიდან. შირონდაში, სხვადასხვა ადგილებში,  
მაგ. პალიუსში ღვინო გადამეტებულათ შეფერილია,  
აგრეთვე Côte'-შიც, და Graves'-ში კი საშუალოთ  
და აი ამ ვენახების მიწებში როგორია თიხისა და  
რკინის უანგის რაოდენობა:

	თიხა	რკინის-უანგი.
პალიუსში	81,0%	10,0%
Côte'-ში	38,0—	7,6—
Graves'-ში	10,8—	5,8—

მრთმა მსწავლულმა, სახელად ფორმა, ამ ად-  
გილების ღვინოებში აღმოაჩინა შემდეგი რაოდენო-  
ბის ღვინის სიმუავის რკინის მარილი თითო ლიტრ-  
ში:

პალიუსის ღვინოში — —	0,2892 გრამი.
Côte'-ისაში — — —	0,1788 —
Graves'-ში — — —	0,1442 —

აგრეთვე Côte-d'or'-ის ღვინოების მშვენიერი  
ფერი და გემო გამოწვეულია არა მარტო ადგილის  
მდებარეობისაგან, არამედ ინიტომა, რომ იქაური მი-  
წა შეიცავს საკმაო რკინის უანგს.

ბორდოს ღვინოებში რკინის დიდი გავლენა აქვს  
ღვინის ბუკეტზე და გემოვნებაზე.

a) გედოკში, ზოგიერთ ადგილებში, საღაც მიწაში  
არც რკინა ურევია და არც თიხა, ღვინოებს თით-  
ქმის წყლის ფერი აქვთ.—

b) კარის მნიშვნელობა. შაქრის რაოდენობას  
ყურძენში, როგორც ეს დამტკიცებულია მრავალი  
გამოკვლევიდან, ძალიან ხელს უწყობს კირიანი მი-

წა; შენიშვნით, კირნარ-მიწაში ჩარგულ  
ვაზიდამ დაყენებული ღვინო გადამეტე ქუთხაბს ჰქონდა  
კონკრეტული გამოსახულის მიზანისა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყურთული მდგრადი  
რი შექარი არის; ესევე შენიშნული იყო ძლევენტი-  
საგან ანდალუზიაში; ძასტელემ უფრო დაკვირვებით  
გამოიკვლია ანდალუზის ღვინოები და აგრეთვე ვე-  
ნახების მიწა და დარწმუნდა, რომ აქაური გამოჩე-  
ნილი და მაგარი ღვინოები ოთხვარ მიწაზე მოდიან  
და ამ მიწების შედგენილება აღმოჩნდა შემდეგი:

კირი თიხა ქვიშა რკინის ჭანგი

Albarisa' ში	68	24	6	2
Baros' ში	69	22	6	3
Arenas' ში	66	22	11	1
Bugeos' ში	62	27	7	4

ამ მიწებზე თითქმის ერთი ჯიშის ვაზებია მო-  
შენებული, და ორგორც ვხედავთ, ყველა ამ მიწებში  
ორი მესამედი კირია.

საფრანგეთშიაც ესევე არის შენიშნული; Clas-  
try'-ო სიტყვით Lot'-ში კირიანი მიწის ვაზი იძლევა  
11,36% ალკოლიან ღვინოს, და უკირო კი მარ-  
ტო 10% -იანს; შირონდის ღვინოებში, Côtes'-ის  
ღვინოები ყველაზე უფრო ალკოლიანიარიან, ამას  
მოსდევს პალიუსის ღვინო, შემდეგ Graves'-ისა და  
ბოლოს Plateaux'-სი და აი ლაფიტის გამოკვლევით  
კირის რაოდენობა ამ მიწებში:

კირი:

Côtes'-ში	36,26%
Palus' ში	2,0—
Graves'-ში	1,40—

და Plateaux'-ში ძლივს შესამჩნევია.

მსეთი ზედგავლენა კირისა, ორგორც ლაფიტი  
ამბობს, ხშირათ გამოიწევს თითონ ვაზის ქვიშის გა-  
დაგვარებას და ამის დასამტკიცებლათ იმას მოჰყავს

ერთი მაგალითი: ერთმა მევენახემ კირიან მრავალ  
ჩაჰარა მაღალეკი ანუ კოტი, რომლებიც ჩვეულებრივი  
მიწაში იძლევიან ცოტა ალკოგოლოზნ „დრენაჟის“  
ლვინოებს; აქ კი, სინაზესთან და გემოსთან, რომლებიც  
ბიც ვაზის ჯისის თვისებანი არიან, ძალა და ღონებ  
მოიპოვეს და ეს, რასაკვირველია, მიწის ბუნებას უნდა  
მიეწეროს.

პიდევ შეიძლებოდა მრავალი მაგალითი მოგვე-  
ყვანა მაგრამ მკითხველების ყურადღებას მივაპყრობთ  
მხოლოდ შემდეგზე: ამ უკანასკნელ ხანებში იტალი-  
აში მრავალი გამოკვლევა იყო მომხდარი, რომლებ-  
თაგანაც ცხადად სჩანს რომ ერთი და იგივე ჯიში  
ვაზისა კირიან მიწაში უფრო ტკბილ და შაქრიან  
ყურძენს იძლევა. აი მაგალითები: ერთი ვაზის ჯიში,  
ეგრეთ წიდებული Greco კირიან მიწაში 29,47%  
შაქრიან ტკბილს იძლევა და იგივე ვაზის ყურძენი  
თიხიან მიწაში მხოლოდ 25—26%-ს, მეორე ჯი-  
ში Cacciucco კირიან მიწაში იძლევა 23,33%  
ტკბილს და სხვაგან კი მხოლოდ 17—20%-ს. აგრე-  
ოვე Muccadellone კირიანში იძლევა 27% შაქრიან  
ტკბილს და თიხაში კი მხოლოდ 22%-ს; Muscato  
nero კირიანში იძლევა 28% შაქრიან ტკბილს და  
თიხიანში კი მხოლოდ 22%-ს.

c) თიხის მნიშვნელობა. პირის შემდეგ შაქრის  
რაოდენობაზე ყურძენში მოქმედობს თიხა, თუ, რა-  
სიკვირველია, ეს თიხა სველი არ არის და წყალს არ  
იგუბებს. თიხა, ამას გარდა ლვინოს სინაზეს აძლევს  
და ამასთანავე ამცირებს სხვა ნაკლულევანებას; ვა-  
ზის ჯიშის ლირსებებს ერთმანეთში ალხობს და ათა-  
ნასწორებს, რისგანაც ამისთანა მიწა უფრო არმა-  
ტიული ყურძებისთვის არის გამოსაღევი, როგორც  
მაგ. მუსკატი; ქვემო ქვეყნებში თიხიანი მიწა, თუ  
წყალს არ იგუბებს, ძალიან ტკბილ ყურძენს იძლე-  
ვა, როგორც მაგალითებრ მალაგა და სხვანი.

d) ჭავის მნიშვნელობა. ძაუი თუ ქვიშათ ან

კენჭებათ არის, შესამჩნევათ მოქმედობს სუნცელობა ული  
ვანობის სიფაქიზებე, რაც დიდი ღირსება პირს გადასახლებული  
ბუკეტინი ღვინოები მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი მას და  
ლოდნელნი თუ ყურძენი კარგათ არის დამწიფებული; ერთი და იგივე ვაზის ჯიში, რომელიც ბუკეტიან ღვინოს იძლევა, ამავე ხესიათის ღვინოს აღარ  
მოგვცემს თუ ყურძენი დასეტყვილია, და ეს მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რომ დასეტყვილ ვენახში ყურძენი ვეღარ მწიფდება. **ბუკეტიანი ღვინოები** იმისთანა ვაზებიდან დგება, რომლებიც მოშენებულნი არიან მშრალ ადგილზე, ქვიშიანზე ანუ ქვებიანზე; თუ იგივე ჯიშები მოშენებულნი არიან მსუჟე, მსუქან, ძრიელ და თხიან მიწაზე, მაშინ მათგან დაყენებულ ღვინოს მცირე ბუკეტი ექნება და ხან სრულიათაც არავთარი. **ამ** მხრით ღირსია ყურადღებისა შემდეგი მაგალითი, რომელიც **ლაფიტს** მოჰყავს; **Haut—Brión'**-ში ერთი და იგივე ვაზის ჯიში მოშენებულია ერთ მიწაზე, რომლის ქვენიადაგიც კაუის ქვიშაა; ერთ ადგილს ამ ქვიშის სისქე ძალიან მცირეა და ვაზის ფესვები კირამდის ჩაღიან; ამ ადგილის ყურძენი  $12\%$  ალკოგოლიან ღვინოს იძლევა და სხვა ადგილების კი, რომლის ვაზები კაუიან მიწაში, ალკოგოლის რაოდენობა  $9\%$  არ გადასცილდება, მაგრამ ეს უკანასკნელი ღვინო უფრო მაღლის და შესამჩნევი ბუკეტისა არის. **საზოგადოთ** კაუის ქვიშაში მოშენებული ვაზი ცოტა ალკოგოლიან და სუსტ ღვინოს იძლევა, უძალოს და უფეროს, მაგრამ ძრიელ ბუკეტოვანს და სუნცელოვანს. **საფრანგეთის** სახელგანთქმული **ბურგონიის** ღვინოები, მათი შესანიშნავი ბუკეტით, სწორეთ იმ ვაზებიდან არიან, რომლებიც ამ გვარ მიწაზე არიან მოშენებულნი; აი **ვერნეტ-ლამოტისაგან** მოხდენილი ანალიზები **ვოლნეის**, **ომარის** და **Beaune'-ის** ვენახების მიწებისა:



Volnay      Pommard      Beaune

	მშენიადაგი	მშენიადაგი	მშენიადაგი	მშენიადაგი	მშენიადაგი
მშენიანი	გირიანი	მშენიანი	გირიანი	ლამის	გირიანი
წერილი და სტკილი მშენიანი	30,10 <sup>0</sup> /₀	19,80 <sup>0</sup> /₀	29,15 <sup>0</sup> /₀	29,07 <sup>0</sup> /₀	31,29 <sup>0</sup> /₀
გირიანი გაგებები	16,93 —	25,11 —	17,20 —	19,30 —	22,70 —
თის და რკინი ქანი	18,65 —	26,42 —	17,67 —	15,24 —	22,05 —
გავი	—	28,93 —	29,19 —	32,98 —	33,17 —
არაგინიული ნივთიერებას	5,39 —	4,47 —	3,00 —	2,21 —	3,04 —

0,67  
0,36  
0,32



წვრილ და სხვილ ქვებში, რასაკვირველია ფაზული არის და კირნარიც და ეს მათ რაოდენობას, უფრო მაღალებს; ასეთი მიწა შეადგენს სავენახო მიწების ნამდვილ და სასურველ ტიპს, თითქოდე მეცნიერებისაგან ხელოვნურათ იყოს მომზადებული; ამისათვის გასაკვირველიც არ არის, რომ ამ ვენახების ღვინოები შემკულნი არიან ყოველგვარი სიკეთით ღირსებით. პირის მოწყალებით სიმაგრე საკმარისი და აქვთ, რკინის ზედმოქმედობით ძლიერ შეფერიანებულნი არიან; სინაზე და სიხალისე თიხიდან და თორნ ვაზის ჯიშიდან (Pinot) აქვთ შეთვისებული და ბოლოს შესანიშნავი აუკეტი კაჟის ზედმოქმედობით.

აგრეთვე კარგი და გარმონიული შედგენილება აქვთ რომანე (Romanée—Conti) და შამბერტენის სავენახო მიწებს, რაც ცხადათ სჩანს შემდეგი ინალიზებიდამ:

### Romanés-conti Chamberten

ტუტის მარილები	1,034 კრ.	0,931 გრ.
კირი და მაგნეზია ნახშირ.		
შეავ. შეერთებულნი	8,392 —	4,425 —
რკინის უანგი —	7,399 —	2,961 —
ფოსფორის სიმჟავე	0,257 —	0,235 —
თიხა —	3,476 —	2,062 —
კაჟის სიმჟავის მარილები	0,871 —	0,195 —
ორგანიული ნივთიერებანი	2,785 —	1,973 —
კაჟის ჭვიშა —	75,764 —	89,302 —

ამ ორივე ადგილის ღვინოები განთქმულნი არიან თავიანთი მშვენიერი ფერით, ძალით და სინაზით, მშვენიერი გემოთი და ბუკეტით; მათ შორის რომანე-კონტის ღვინოები უფრო ალკოგოლიანი

არიან, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ამ ვენა-  
ხების მიწაში ორჯერ გადამეტებულია.

**უფრო შესამჩნევი გარმონია სუფესი Vosne**  
Nuit'-ს ვენახების მიწებში; როგორც ყველამ იცის  
ეს ღვინოებიც ხომ საქვეყნოთ არიან განთქმულნი  
თავიანთი შესამჩნევი ღირსებით.


აი ანალიზი ამ ვენახების მიწისა:

	Vosne	Nuit
კირი	42,5%	42,3%
კაჟი —	12,0	17,7 —
რკინის უანგი	10,1	7,5 —
თიხა —	29,0	22,0 —
ორგანიული ნივთიერებანი	4,0	5,5 —
ტუტის მარილები —	2,5	5,0 —

პიდევ შეგვეძლო მრავალი სავენახო მიწების  
ანალიზები მოგვეყვანა როგორც საფრანგეთისა, ისე  
სხვა ქვეყნებისაც და გვეჩვენეკინა, რომ კაჟს დიდი  
მნიშვნელობა და ზედგავლენა აქვს ღვინის ბუკეტის  
და არომატის გაჩენაზე და მაშასადამე თითონ ღვი-  
ნის ღირსებაზედაც, მაგრამ რაც ვსოდეთ, ესეც სა-  
კმარისია.

საზოგადოთ რომელ მიწაშიაც ბევრი კაჟია თი-  
ხა და რკინა შერეული და კირი კი ნაკლებია, ამ  
მიწაზე მოშენებული ვაზი რბილ და ნაზ ღვინოს იძ-  
ლევა, არომატოვან და ბუკეტოვანს; კირნარ მიწაზე  
კი ვაზი ცხოველს და მხურვალე ღვინოს იძლევა ესე  
იგი ბევრ ალკოლინიანს. —

ე) ჭუმუსის, ე. ა. შავი, არგანიულ ნივთიერებათ  
შეაუდი მიწის მნიშვნელობა. ლაფიტის სიტყვით პუმუ-  
სიანი მიწა მასზე მოშენებული ვაზის ღვინოს ცო-



ტაოდენ სიმწკლარტეს აძლევს, მაგრამ ამასთან აშენდული  
დი ხნით შენახულობასაც; ამას გარდა, მომწიფებული მარკა  
ფერსაც უმატებს; ეს იმით აიხსნება, რომ ამ გვარი  
მიწა ტანინის გაჩენაზე მოქმედობს და როგორც ვი-  
ცით, რამდენათაც ღვინო ბევრ ტანინს შეიცავს, იმ-  
დენათ მომჟავო და მწკლარტეა და მის მომწიფებას,  
სისრულეში შესვლას იმდენათ დიდი დრო უნდება.  
მაგრამ ამასთან ისიც არის შენიშნული, რომ ამ გვა-  
რი ღვინო უფრო დიდ ხანს ინახება შეუცვლელათ,  
რამდენათაც ღვინო დიდხანს თხოულობს თავის მო-  
სამწიფებლათ, იმდენათ დიდი გამძლეობა აქვს, ასე  
რომ ჰუმუსიან, შავ მიწაზე მოშენებული ვაზის ღვი-  
ნო ძალიან გამძლეა, თუმცა კი გვიან შედის სისრუ-  
ლეში. საფრანგეთში შენიშნულია, რომ შირონდის  
ღვინოების მომწიფებას შემდეგი ხანი უნდება:

მომწიფების ხანი: გამძლეობის ხანი.

პალიუსის ღვინოები 15—30 წ. დაუბოლოებელი

Côte ღვინოები 10—15— 25—30 წელი

Graves'--ისა 6—8— 10—15—

Plâteaux დაღულების უმაღვე გამძლეობა  
დასალევია. არა აქვს.—

ამის დაგვარათ ტანინის რაორენობაც სხვადა  
სხვა არის ამ ღვინოებში:

Palus'-ის ღვინოებში თითო ლიტრში 0,013 გრ.

Côtes'-ის — — — — — 0,011 —

Graves'-ის — — — — — 0,010 —

Plateaux — — — — — 0,009 —

აქედან ცხადია, რომ ჰუმუსიანი მიწა ტანინის  
გაჩენით მოქმედოკს ღვინის შენახულობაზე; რამდე-  
ნათაც ღვინო საღიღხანოთ არის შესანახავი, იმდე-

ნათ ბევრი ტანინი უნდა ჰქონდეს და ის დავინო,  
რომელშიაც ეს ნივთიერება ცოტა არის, მნელი შე-  
სანახავია, სხვადასხვა სენი უჩნდება და ძალე ჰკაოგავს  
თავის ღირსებას; ამ სენთა შორის, ცოტა ტანინიანი  
ღვინოებს უფრო ხშირათ გასქელება და გასუქება  
(la graisse) ეწვევა ხოლმე, რომელიც სრულიათ  
უფუჭებს ღვინოს გემოს და შეხედულობას.—

ზელა აქ ნათქვამზე საზოგადო ჰაზრის შესა-  
დგენათ კიდევ უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა ზო-  
გიერთ სხვა მინერალურ ნივთიერებაზედაც, რომლებ-  
საც ვაზი თხოულობს მიწისაგან, განსაკუთრებით ფოს-  
ფორის სიმუვეზე და კალიქვაზე. ჩვენ წარათვე  
ვსთქვით, რომ ამ ელემენტებს დიდი მნიშვნელობა  
აქვთ ვაზის ცხოვრებაში, მათზეა დამოკიდებული მი-  
სი ძალა და ღონე.

რა მდგომარეობაში არიან ეს ნივთიერებანი მი-  
წაში? როგორც უკვე ვიცით, ვოლკანიური კლდე-  
ები და ქვები: გრანიტი, სიენიტი და ბაზალტი ბლო-  
მათ შეიცავენ კალიქვას, ნატრის, კირს და ესენი  
შეერთებულნი არიან ალუმინთან და კაფის სიმუვეს-  
თან; ეს კლდე-ქვები ჰაერის ნახშარ-სიმუვის და წყლის  
შემწეობით იცვლებიან, იჯევნებიან; ამ მოვლენას  
ხელს უმართავენ აგრეთვე სხვა ელემენტებიც, რომ-  
ლებსაც აგრეთვე ჰაერი შეიცავს, ამათ ემატება აგ-  
რეთვე მეტეოროლოგიური გავლენაც. ამ გვარი რთუ-  
ლი, მუდმივი და შეუწყვეტელი მოქმედების გამო  
ქვა-კლდე ორ გვარ სხეულებათ ნაწილდება: ერთი მათ-  
განი შეიცავს ტუტის ელემენტებს, რომლებიც შე-  
ერთებულნი არიან კაფის-სიმუვესთან; ეს ნაწილი  
წყალში ადვილათ იხსნება და ამისგამო წვიმის და



ნიაღვრებს გადაქვთ ამ ადგილიდან; მეორე ჭიშეფული  
კი აქვე რჩება და შემდგარია ალუმინისფარი ტარმერი მარკა  
ლიც შეერთებულია აგრეთვე კაუის-სიმებავესთან — ეს  
არის ეგრეთ წოდებული თიხა. მასთი ცვლა და გა-  
დაგვარება ჭვა-კლდეებისა ხდებოდა ყოველ დროში  
დასაბამიდან დაწყებული ჩვენ დრომდინ. წყლისგან  
წალებული ნაწილი, კაუის-სიმებავის და ტუტის მარი-  
ლები ეფინებიან დედამიწას და აქედან იმის კალიქვა  
და ნატრი გადადიან მცენარეებში. მაშასადამე კალი-  
ქვის და ნატრის მარილების წყაროები ეს კლდე-ჭვე-  
ბი არიან და ესენი აძლევენ მცენარეს იმ საზრდოს,  
რომელიც მათთვის საჭიროა. მაშ ყოველ მიწაში უნ-  
და მოიპოვებოდეს, ცოტათ თუ ბევრათ, კალი-ჭვა და  
ნატრი, რადგანაც, როგორც ვიცით ყოველთვის შეი-  
ცავს ამ კლდე-ჭვების გადაგვარების ნაშთებს. ამას  
გარდა, ყოველი მიწა შეიცავს აგრეთვე ჭვა-კლდის  
გაუნაწილებელ ნაშთსაც, ცოტას-თუ ბევრ თიხას,  
რომელიც მიწის შემუშავების დროს გიშის პირას ამო-  
დის და აქ წყლისა და ჰაერის ზედ მოქმედებით კი-  
დევ ნაწილდება, იშლება და ამით კიდევ ჩნდება კა-  
ლიქვა და ნატრი. — ყოველ თიხაში არის კალიქვა  
და ნატრი და მათი რაოდენობა შეადგენს  $2-4\%$ . აქედან ადვილი წარმოსადგენია, რომ რამდენათაც  
მიწას ბევრი თიხა ექნება შერეული, იმდენათ ბევრი  
იქნება იმ მიწაში კალიქვა და ნატრი. ავილოთ მაგ.  
იმისთანა მიწა, რომელშიაც  $25\%$  თიხა ურევია და  
წარმოვიდგინოთ, რომ ამ თიხაში  $4\%$  კალიქვა არის,  
მაშასადამე თითონ მიწაში  $1\%$  უნდა იყოს. ამის  
გამო ერთ დღიურ მიწაში, რომლის ნიადაგსაც  $\frac{3}{4}$   
ადლი სისქე აქვს, უნდა იყოს 12,870 გირვანქა კა-

ლი ქვა; თუ მიწაში უფრო ბევრია თებუ, მაშინ ჭუ-  
ლიქვა ამის დაგვარათ მეტი იქნება და თუ მეტად იქნება  
ტა— მაშინ რასაკვირელია ცოტა.—

რაც შეეხება ფოსტორის სიმჟავეს, ამასაც ო-  
გორც ვნახეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს არა თუ მარ-  
ტო ვაზის ცხოვრებისათვის, არამედ თითონ ღვინი-  
სათვისაც და ამიტომ ამაზედაც ორიოდე სიტყვას  
ვიტყვით: ფოსტორის სიმჟავე მიწაში კარგა ბლობათ  
მოიპოვება და შეერთებულია ეგრეთ-წოდებული მი-  
წეულ-ტუტესთან (კირი, მაგნეზია და სხვა.); ეს მა-  
რილები კარგა ადვილათ იხსნებიან მჟავე წყალში  
მაგ. თუ წყალში ნახშირის სიმჟავე არის გახსნილი.  
ამის გამო წინეთ ეგონათ, რომ ფოსტორის სიმჟავე  
მცენარეში გადადის ამ ნახშირის სიმჟავის შემწეობით.  
შემდეგი გამოკვლევით ალმოჩნდა, რომ ეს მოვლენა  
კარგა რთულია და ისე უბრალოთ არა ხდება, რო-  
გორც ეგონათ. ზაიგეს, რომ ფოსტორის სიმჟავე მი-  
წაში შეერთებულა არა მარტო კირთან და მაგნე-  
ზიასთან, არამედ, უფრო გადამეტებით, რკინის და  
ალუმინიის ჟანგებთან და ეს უკანასკნელი სხეულები  
სრულებით არ იხსნებიან ნახშირ-მჟავე წყალში. ამას-  
თან ისიც არის შემჩნეული, რომ თუ რომელსამე მი-  
წას მიმატებული აქვს ფოსტორის სიმჟავის, კირის და  
და მაგნეზიის მარილები და თუ ამავე მიწაში არის  
• რკინის და ალუმინის ჟანგები, მაშინ წყლისა და ნა-  
ხშირის სიმჟავის მოქმედებით კირიც და მაგნეზიაც  
ამ ნახშირის სიმჟავეს უერთდებიან და ფოსტორის  
სიმჟავე კი რკინის ჟანგზე გადადის. ამ გვარათ მაშ  
ფოსტორის სიმჟავე ყოველთვის რკინასთან იქნება  
შეერთებული. მაშ მცენარე როგორ იღებს ამისთანა

მიწიდან თავისთვის საჭირო ფოსტორის სიმუავეს? არ  
როგორ: ყოველ მიწაში უეპელათ მოიპოვები კუნტა-  
უის სიმუავის კირის მარილი, რომელიც აღვიღათ  
იხსნება ნახშირ მუავე წყალში და ასე გახსნილი კა-  
უის სიმუავე თუ მოხვდა ფოსტორის სიმუავის რკინის  
მარილს, მაშინვე ამ რკინას შეუერთდება და განთა-  
ვისუფლებული კირი და ფოსტორის სიმუავეც ერთ-  
განერთს უერთდებიან, ნახშირ მუავე წყალში იხსნე-  
ბიან და გადადიან მცენარეში. მაშ როგორც ვხდე-  
დავთ ეს მოვლენა ძალიან რთულია. მიწაში აგრეთ-  
ვე მოიპოვება ფოსტორის სიმუავის კალი-ქვისა და  
ამონიაკის მარილები, ნაშთი მცენარეებისა და ცხო-  
ველებისა და ამათაც ადვილათ და კარგათ ითვისებს  
მცენარე.—

როგორც წინეთ ვნახეთ კაუის სიმუავეს მიწაში  
შესამჩნევი გავლენა აქვს ღვინის არომატზე; ვაზის  
ნაცარში ყოველთვის მოიპოვება ცოტაადენი მაინც  
და უფრო ხის ტანშია მოთავსებული, თუმცა კი  
ტკბილში და ღვინოში ძალიან ცოტა გადადის; რო-  
გორც ვნახეთ კაუის სიმუავე ხელს უმართავს ფოს-  
ტორის სიმუავის მარილების შეთვისებას და ამის გა-  
მო ამ მხრითაც დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის ღირ-  
სებაზე. ახლა თუ აქ ნათქვამს ვაზის ნაცრის შედ-  
გენილებას შევუდარებთ, მაშინ ცხადი იქნება, რა ნი-  
ვთიერებანიც არიან საჭირონი ვაზის მოსაშენებელი  
მიწისთვის, ანუ რომელი მიწა უფრო შესაფერი იქ-  
ნება ვაზის კულტურისთვის, რომ კარგი, მოსავალი  
მოიტანოს.

ცხადია, რომ ის მიწები უფრო შესაფერნი არიან,  
რომლებიც ვიალკანიური მოების გადაგვარებით არიან

მომზადებულნი; ამ შემთხვევაში ქვენიადაგის მდგრა-  
მარეობა აადვილებს ქვა კლდეების გარდაგვარჩებას — რა  
ამას გარდა თვისებაც ისეთი აქვთ, როგორც უფრო  
შეეფერება ვაზის მოშენებას. შეუწყვეტელი ცვლა და  
გადაგვარება ქვა-კლდეებისა ამზადებს იმისთანა ელე-  
მენტებს, რომლებიც ვაზს მოსწონს და რომლებსაც  
კარგათ ითვისებს.

ამ მიწის შემდეგ, კარგია აგრეთვე თიხიანი მი-  
წა, რომელშიც ტუტის ელემენტები მოიპოვებიან და  
ბოლოს კირნარი და ქვიშიანი მიწაც ცუდი არ არის,  
თუმცა ამ უკანასკნელში კირი და ქვიშა გადამეტე-  
ბულია, მაგრამ თიხაც მოიპოვება და ამისგამო ამა-  
საც შეუძლია კალიქვის მომზადება და ვაზისთვის  
მიწოდება. როგორც ვხედავთ, მრავალ-გვარი მიწაა  
ვაზისთვის შესაფერი, მაგრამ როგორც წინეთაც  
ვსოდვით, რამდენათაც მიწა ძრიელი და მსუქანია და  
რამდენათაც ამის გამო ვაზი დიდ მოსავალს იძლევა,  
იმდენათ აქედან დაყენებული ღვინო დაბალი ხარის-  
ხისა არის. მაშასადამე თუ გვინდა, რომ ჩვენი ვენა-  
ხიდან კარგი ღვინო დადგეს, მაშინ ძალიან ნოკიერ  
მიწაზე არ უნდა მოვაშენოთ; ამის წინააღმდეგ, იმ  
ადგილებში, სადაც კი გათქმული ღვინოები მოდის,  
რა ბუნებისაც უნდა იყოს ნიადაგი, იგი უფრო ხში-  
რათ მცირე ნაყოფიანია, ვინემ მათ ახლო მდებარე  
მიწები; ხშირათ სავენახო მიწა ისეთია, რომ სხვა  
კულტურისთვის არც კია გამოსადევი. როგორც ვხე-  
დავთ, ვაზი იმდენათ ცოტათი ნოკიერ მიწას თხოუ-  
ლობს, რამდენათაც მისი მოსავალი დიდფასიანია.  
ზოგიერთ შემთხვევაში სრულიათ აკრძალული უნდა  
იყოს ვაზის ჩაყრა ნოკიერ მიწაში და მართლაც ღვი-  
ნით განთქმულ ქვეყნებში ვაზის ჩასაყრელათ იმის-

თანა ადგილებს ირჩევენ, რომლებზედაც სხვა რისამზე მოშენება შესაძლებელი არ არის; შესამჩნევი შემთხვევაში ხები იმისთანა ადგილებზეა გაშენებული, რომლებიც სხვა კულტურისთვის სრულიათ გამოუდევარნი არიან.

**მაგრამ** თუ მიწის ქიმიურ შედგენილებას არ შეუძლია დააბრკოლოს ვაზის მოშენება, ამისავე თქმა არ შეიძლება მისი ფიზიკურ თვისებაზე; ფიზიკურ თვისებას დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზის კულტურაში. **ჩვენ** წინეთ ვუჩვენეთ სინოტივეს ცუდი ზედგავლენა, თიხის ქვენიადაგის გამოუდევარობა, თუ იგი წყალს იგუბებს და მალე არ იშრობს; ისიც ვნახეთ, რომ თუ თიხის ქვები და კენჭები აქვს შერეული და ამის გამო ისე ფხვიერია, რომ წყალს აღარ აგუბებს, მაშინ ეს თიხიანი მიწაც კარგია. **პმ** საზოგადო ჰაზრიდან რასაკვირველია, ის დასკვნა არ უნდა გამოვიყენოთ, ვითომ ნიადაგის ქიმიურ შედგენილებას არავითარი შასამჩნევი ზედგავლენა არა ჰქონდეს; წინეთ ხომ ვნახეთ, რომ ვაზის მოსავალი ამის შედგენილებაზე არის დამოკიდებული; ახლა იმას ესეც უნდა დავუმატოთ, რომ ეგევე შედგენილება უმნიშვნელო არ არის თითონ მოსავლის ღირსებისათვისაც. **პმის** დასამტკიცებლათ საკმარისია მოვიგონოთ, რომ ქვენიადაგის ბუნების და თვისების შეცვლით გამოწვეულია შესამჩნევი სხვადასხვა გვარობა ღვინის თვისებაში. **მაგ.** მოვიგონოთ, რომ *Cotes-d'or*-ში, ერთსა და იმავე ჰავის და მდებარეობის მიუხედველათ, შესამჩნევი განსხვავება არის ღვინის ღირსებაში იმის დაგვარათ თუ ქვენიადაგი კირიანია, ან თიხიანი. **პოულეშიაც** იგივეა შენიშნული: კირიანი ქვენიადაგის მიწაზე უფრო კარგი ღვინო დგება, ვინემ თიხიანზე, და თუ ქვენიადაგი გრანიტისაა, მაშინ ორივეზე უფრო კარგია; **ისპანიაშიაც** ფილაქნიან ქვენიადაგს უპირატესობას აძლევენ და ყველა ეს ცხადათ გვიჩვენებს, რომ მიწის ამორჩევას დიდი მნიშვნელობა და ზედ გავლენა აქვს მოსავლის ღირსებაზე და თვისებაზე. **ვერნეტ-ლამოტტისაგან** არის

შენიშნული, რომ Cote'ს გამოჩენილი ლვინოები ხუ-  
რათ ერთმანეთისგან განირჩევიან იმის დაქცეულობის, რა  
მიწას როგორი ქვენიადაგი აქვს, მაგრა მაგრა მარტინ  
შემდგარია კირნარი სიპი ქვებისგან და კენჭებისგან,  
მაშინ ლვინოს შესამჩნევი ფაქიზი და აზიზი (linesse)  
გემო აქვს; ასევე არის შენიშნული თუ ზენიადაგი  
შეიცავს ბევრს კაჟის სიმჟავეს და რკინის ეანგს. თუ  
ქვენიადაგი შემდგარია მაგნეზიანი კირნარისაგან, მა-  
შინ მისი მოსავალი შესამჩნევია თავისი ნაზომით, რო-  
მელიც განირჩევა პირველისაგან. თუ ქვენიადაგი მი-  
წისა თეთრი თიხაა, მაშინ ვაზი ძრიელ იქნება გაზ-  
დილი, ლონე ექნება და ლვინოც გამძლე იქნება,  
ბევრი ექნება ლინის მარილი და საფერავი.

მრთი სიტყვით თუმცა ვაზი ხეირობს სხვადა-  
სხვა ბუნების მიწაში მაგრამ ყველა ადგილებში სა-  
დაც კი მოშენებულია, გარემოებათა ერთგვარობის  
მიუხედველათ ზოგი მიწა უფრო შესაფერია და ზო-  
გიც არა. საზოგადოთ რომ ვსთქვათ ყველაზე შესა-  
ფერი მიწა ის იქნება, რომელიც ფხვიერია, ფორმ-  
ვანი, ნოკიერობა შემცირებული აქვს და ამის გამო  
მცირე მოსავლიანია და თუ ამასთან ჰავა და მდე-  
ბიარებაც შესაფერი არიან, ეს მიწა გამოსაყენებე-  
ლია და ყოველი ვაზის ჯიში შესაფერათ კარგ ლვი-  
ნოს მოგვცემს.— ამას რასაკვირველია შესაფერი ქი-  
მიური შედგენილებაც უნდა ჰქონდეს, რადგანაც ამ  
შედგენილებას მისი ხასიათის დაგვარათ შეუძლიან  
იმოქმედოს ვაზის ორგანოების შედგენილებაზე და  
ამით თითონ ლვინოზედაც; მიწას შეუძლიან შეს-  
ცვალოს თითონ ვაზის ჯიშის თვისება. მრთი სიტ-  
ყვით მიწის ქიმიურ შედგენილებას ნამდვილი და  
სრული გავლენა აქვს მოსავლის ხასიათზე და მისი  
თვისების და ღირსების განვითარებაზე; ამასთან ისიც  
ხომ ვიცით, რომ ამავე ქიმიურ შედგენილებას შეუ-  
ძლიან შესცვალოს მოსავლის რაოდენობა.—

11398

გისან სურს გამოიწერს სასოფლო  
მეურნეობის, ვაჭრობის, მოეწველობის,  
ეკონომის, სცადისციკის, პივინის და საბეითალო  
ჟოვალ-კვირაული ზურნალი

## „მეურნე“

მან უნდა მიმართოს: ქუთაისში რედაქციას, გეგუთის  
ქუჩის გადასახვევ ში, ქუთაის სახლში, № 10; „მეურნის“  
რედაქციის სტამბას, თბილისის ქუჩაზე ნ. ი. სვიმონოვის  
შენობაში გუბერნატორის სახლის ზირდაპირ.

ზურნალის ფასი: ფლით 4 განეოთი, ნახვარი  
ფლით 3 განეოთი.

ვოსტის ადრესი: ქუთაის. რედაქცია „МЕУРНЭ“

---

„მეურნის“ რედაქციის

## სტამბა

ქუთაისში, თფილისის ქუჩ., ნ. სვიმონოვის სახლში  
იღებს უოკელ გარ სასტამბო საქმეს ქართულსა და რუ-  
სულს ქართულ და წიგნების გამოცემას აგრძოლების მონ-  
დობილობით განხილული იავ ფასათ.

გინც „მეურნის“ სტამბას საქმეს აძლევს ის სელს უმართავს  
ქართულის სამეურნეო უფრნელის „მეურნის“ არსებობას.



ეროვნული  
ბიბლიოთეკი